გიორგი ჯოჯუა

არასრულწლოვანთა განრიდება

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი
თბილისი, 0178, საქართველო
2021 წელი

საავტორო უფლება © 2021 წელი, გიორგი ჯოჯუა

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ავტორი ადასტურებს, რომ სამაგისტრო ნაშრომი მომზადებულია მის მიერ, ნაშრომში გამოყენებული საავტორო უფლებებით დაცული მასალა ციტირებულია ისე, როგორც ეს მიღებულია აკადემიური ნაშრომების შესრულებისას და ყველა მათგანზე იღებს პასუხისმგებლობას.

სამაგისტრო ნაშომის არაკომერციული მიზნებით კოპირებისა და გავრცელების უფლებას ავტორი ანიჭებს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტს.

ავტორის ხელმოწერა: _____

თარიღი :

აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი

იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი გიორგი ჯოჯუას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: არასრულწლოვანთა განრიდებას და ვაძლევთ რეკომენდაციას აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დასკვნითი გამოცდის/სამაგისტრო ნაშრომის დაცვის სპეციალური კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ზესიკ მეურმიშვილი

თანახელმძღვანელი:

თარიღი :

რეზიუმე

არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამა არც ისე დიდიხანია, რაც ქართული მართლმსაჯულების პროცესში არსებობს, თუმცა მისი აქტუალურობიდან გამომდინარე მალევე დაიხვეწა და საკმაოდ მყარად მოიკიდა ფეხი. პროგრამამ გარდამტეხი როლი შეასრულა „ნულოვანი ტოლერანტობიდან“ ლიბერალურ პოლიტიკაზე გადასვლით და საკმაოდ ბევრი და სასარგებლო ცვლილებები მოახდინა ქართულ მართლმსაჯულებაში. მიუხედავად ამისა არსებობს ისეთი ხარვეზები, რომელიც დამატებით კვლევასა და ანალიზს საჭიროებს, რათა დაცული იყოს არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესები ისე, რომ განრიდების პროგრამის დასრულების შემდეგ, არასრულწლოვანს არ დარჩეს უსამართლობის გრძნობა და სრულიად რესოციალიზებული შეხვდეს საზოგადოებას, იმ ერთი შანსის გამოყენებით, რომელიც განრიდების პროგრამის წყალობით მიეცა.

ნაშრომში ასახულია იმ საერთაშორისო კონვენციებითა და აქტებით განსაზღვრული რეკომენდაციები, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების მიმართ ალტერნატიული მართლმსაჯულების საკითხებზეა ორიენტირებული.

Abstract

The juvenile diversion program hasn't been around as long as the Georgian justice system, but due to its urgency, it was quickly refined and firmly established.

The program was critical in the transition from "zero tolerance" to liberal politics, and it resulted in numerous beneficial changes to Georgia's judiciary.

Nonetheless, there are gaps that require additional research and analysis to protect the best interests of minors so that once the diversion program is completed, the juvenile does not feel unfair and is completely re-socialized in the community, taking advantage of the diversion program's one opportunity.

The paper reflects the recommendations made in international conventions and acts that address alternative justice issues for juveniles who have run afoul of the law.

შინაარსი

შესავალი

I. არასრულწლოვანი სისხლის სამართლის პროცესში

1.1 არასრულწლოვნის ცნება

1.2 სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა არასრულწლოვნებთან მიმართებით

II. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და განრიდების ისტორია

2.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობა

2.2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თეორიები

2.3 განრიდების პროგრამის წარმოშობა

2.4 განრიდების პროგრამის განვითარება

III. არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების თავისებურებები

3.1 განრიდების პროგრამის გამოყენების საფუძვლები

3.2 განრიდების პროგრამის პრინციპები

3.2.1 ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა

3.2.2 ნებაყოფლობითობა

3.2.3 პროპორციულობა

3.2.4 კონფიდენციალურობა

3.2.5 სტიგმატიზაციის დაუშვებლობა

3.2.6 არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათალისწინება

IV. არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგულირება

4.1 წინაპირობები
4.2 ღონისძებები
4.3 განრიდების ხელშეკრულება
4.3.1 ხელშეკრულების მხარეები
4.3.1.1 არასრულწლოვანი
4.3.1.2 არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი
4.3.1.3 პროკურორი
4.3.1.4 დამცველი
4.3.1.5 სოციალური მუშაკი
4.3.1.5.1 ინდივიდუალური შეფასების ანგარიში

4.3.2 ხელშეკრულების პირობები
V. **არასრულწლოვანთა განრიდების ეფექტიანობა**
5.1 არასრულწლოვანთა განრიდების სტატისტიკა
5.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია

დასკვნა
გამოყენებული ლიტერატურა

შესავალი

არასრულწლობანთა კეთილდღეობასა და მათ ინტერესებზე ზრუნვა, როგორც საზოგადოების, ასევე სახელმწიფო სტრუქტურის ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა. საქართველოს კანონმდებლობით არასრულწლოვანია სისხლისსამართლებრივ ასაკს მიღწეული, თუმცა 18 წელს მიუღწეველი კანონთან კონფლიქტში მყოფი პირი.[1] არასრულწლოვნების მიმართ აღდგენითი მართლმსაჯულების გამოყენების ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტია განრიდების პროგრამა, რომლის მთავარი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისგან განრიდებულ იქნან 18 წელს მიუღწეველი პირები.[2]

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში აქტუალურია აღდგენითი მართლმსაჯულების საკითხი და არასრულწლოვანთა განრიდების როლი დანაშაულის პრევენციის კუთხით. განრიდება, ეს არის სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, სისხლისსამართლებრივი პასუხსიმგებლობისგან გათავისუფლების ფორმა, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, განმეორებითი დანაშაულის თავიდან აცილება.[3] „სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევებად“.[4] პირები, რომლებიც ამ პროგრამაზე მუშაობენ, მუშაობენ იმ მიზნისთვის, რომ საზოგადოებას დაუბრუნდეს სრულყოფილი მოქალაქე, რომელიც აღარ ჩაიდენს დანაშაულს.[5] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის

---

[1] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 3-ე მ., პირველი ნაწილი.
[2] დაწვ. იხ.,ბავშვის უფლებების კონვენცია, 1989 წ., 20 ნოემბერი, მუხ. 1
[3] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, 3-ე მ., 7-ე ნაწილი.
[4] ბავშვის უფლებების კონვენცია, მუხ. 40, ნაწ. 3
[5] ჯავახიშვილი ლ., არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმოხილვა

ამოქმედების შედეგად განრიდების პროგრამა წარმოადგენს არასრულწლოვნისთვის ერთ შანსს, განაგრძოს ცხოვრება ნასამართლობის, სასჯელის გარეშე და დაიწყოს კანონმორჩილი ცხოვრება.[6] განრიდება ეყრდნობა აღდგენითი მართლმსაჯულების კონცეფციას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს კანონთან კონფლიქტშ მყოფი არასრულწოვნის ინტერესებს, მიმართულია დანაშაულის პრევენციაზე და ზრუნავს საზოგადოების, როგორც მთლიანობის გაჯანსაღებაზე.[7]

აღნიშნული თემის კვლევის მიზანია განსაზღვროს არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის ეფექტურობა, წარმოჩენილ იქნას პროგრამის დადებითი და უარყოფითი მხარეები და ასევე რითი და როგორ არის შესაძლებელი არასრულწლოვანთა განრიდების სამართლებრივი სრულყოფა.

ზემოაღნიშნული მიზნების მისღწევად, ნაშრომში გამოყენებული იქნება ანალიტიკური კვლევის მეთოდი, თუ რამდენად ეფექტურად მოქმედებს ამჟამინდელი კანონმდებლობა და რა ხარვეზები გააჩნია მას. ინდუქციური კვლევის მეთოდის საშუალებით გაანალიზდება საქართველოს სასამართლოების პრაქტიკა და მისი სამართლებრივი შედეგები. ნაშრომის სრული ანალიზისთვის და მარტივად აღსაქმელად გამოყენებული იქნება ასევე დესკრიფციული კვლევის მეთოდი.

ნაშრომი შედგება რეზიუმეს, ლიტერატურის მიმოხილვის, შესავლის, დასკვნის, 5 თავისა და 20 ქვეთავისაგან.

---

[6] <http://prevention.gov.ge/page/28/geo> [01.06.2021]

[7] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013 წ., გვ. 5-6.

ლიტერატურის მიმოხილვა

არასრულწლოვნების განრიდების პროგრამასთან დაკავშირებით საკმაოდ მოცულობითი ლიტერატურა არის დამუშავებული. მათგან ნაშრომში გამოყენებულია ნამუშევართა ის ნაწილი, რომელიც მკითხველისთვის გააიოლებს იმის გაგებას, თუ ვინ შეიძლება მოაზრებოდნენ არასრულწლოვნებში და როგორია მათ მიმართ მართლმსაჯულების პოლიტიკა; როგორია არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის ისტორია; ასევე, როგორია არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების პროგრამის თავისებურებები, სადაც გამოკვეთილი იქნება პროგრამის საფუძვლები და პრინციპები, რომელთა დაყრდნობის საფუძველზეც ხორციელდება იგი; ნაშრომის მეოთხე თავი დაეთმობა არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგულირებას, რომელიც თავის თავში მოიაზრებს იმ წინაპირობების აუცილებლობას, რომელიც არსებითად მნიშვნელოვანია, რომ განხორციელდეს არასრულწლოვანა განრიდების პროგრამა, რა ღონისძიებები შეიძლება იქნას გატარებული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანების მიმართ, ასევე აღწერილი იქნება პროგრამის ხელშეკრულება, რომელიც თავის თავში მოიაზრებს განრიდების ხელშეკრულების იმ პირებს, ვინც შეიძლება იყვნენ ხელშეკრულების მხარეები; ბოლო თავში კი მოცემული იქნება არასრულწლოვანთა განრიდების სტატისტიკა და თუ რა მნიშვნელობა გააჩნია განრიდების პროგრამას დანაშაულის პრევენციის კუთხით.

თავი I. არასრულწლოვანი სისხლის სამართლის პროცესში

1.1 არასრულწლოვნის ცნება

არასრულწლოვანი არის ფიზიკური პირი, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვნების ასაკამდე, ე.ი 18 წლამდე, თუმცა სისხლის სამართალთან მიმართებით ტერმინმა „არასრულწლოვანი“ უფრო ვიწრო გაგება შეიძლება შეიძინოს. საქართველოს კანონმდებლობით, არასრულწლოვანი არის 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი.[8] აქვეა აღნიშნული, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის არასრულწლოვანი, დანაშაულის ჩადენის მომენტისთვის 14 წელს მიღწეული უნდა იყოს.[9]

ქეროლინ ჰამილტონის სახელმძღვანელოში არასრულწლოვანი განმარტებულია შემდეგნაირად: „არასრულწლოვანი გამოიყენება იმ ბავშვის აღნიშვნის მიზნით, რომელსაც არ მიუღწევია სრულწლოვანებისათვის. დროთა განმავლობაში ტერმინმა ნეგატიური „კონოტაცია“[10] შეიძინა. ზოგიერთი დოკუმენტი კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს ან არასრულწლოვან დამნაშავეებს უწოდებენ“.[11]

რაც შეეხება კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს, ანუ „თითოეული ის ბავშვი, რომელმაც დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ტერმინი „კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები“ ეხება 18 წლამდე ასაკის პირებს განურჩევლად იმისა, თუ რა ასაკი ითვლება სრულწლოვნების მიღწევის ასაკად ამა თუ იმ სახელმწიფოში“.[12] ასეთი დათქმის აუცილებლობა განაპირობა იმან, რომ ყველა სახელმწიფოში არასრულწლოვნობის ასაკი განსხვავებულია.

არასრულწლოვანთა ეს ასაკი შესაძლებელია მოვიაზროთ, როგორც გარდატეხის ასაკი იმ ბავშების, რომლებიც უკვე ბავშობიდან ზრდასრულობაში შეაბიჯებენ. სქეტობრივი მომწიფების პერიოდში, ე.წ. გარდატეხის პერიოდში, სოციალიზაცია მკაცრად განსაზღვრავს ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბებას.[13] ეს არის კრიზისული პერიოდი, რომელიც

---

[8] საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 3, ნაწ. 1

[9] იქვე

[10] „კონოტაცია“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს დამატებითი, თანმდევი მნიშვნელობა ენობრივი ერთეულისა, „ერთად“ და „აღვნიშნავ“.

[11] ჰამილტონი ქ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, თბ., 2013 წ., გვ., 14

[12] იქვე, გვ. 13

[13] Hurrelmann, K., 2010. S. 26

გარდატეხაა ბავშვომიდან მოზრდილობაში და კრიზისულია სწორედ იმიტომ, რომ პირი უკვე აღარ არის ბავშვი, მაგრამ არც მოზრდილი.[14]

შესაბამისად თუ არასრულწლოვნებს ხელი არ შეეწყოთ სოციალიზაციაში, როგორც სახელმწიფოს მხრიდან ასევე საზოგადოების მხრიდან, ვშიშობ ისეთი პიროვნული ჩამოყალიბების შემსწრენი გავხდებით, რომელიც საშიში იქნება საზოგადოებისთვის.

1.2 სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა არასრულწლოვანთან მიმართებით

როდესაც ვსაუბრობთ სისხლის სამართლის პოლიტიკაზე, რომელიც მიმართულია არასრულწლოვნებისკენ, ძალზედ მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალურ მიდგომასა და მის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას.

ინდივიდუალურ მიდგომას თავისი ადგილი უკავია, როგორც ქართულ სისხლის სამართალში, ასევე ბავშვთა უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმით, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებით და სხვა საერთაშრისო აქტებით.[15]

ინდივიდუალური მიდგომა მჭიდრო კავშირშია არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათალისწინებასთნ და გულისმხობს, რომ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი უნდა განისაზღვრებოდეს ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში, მისი სფეციფიკური მახასიათებლების, საჭიროებების, გამოცდილების, ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.[16] ასევე მხედველობაში უნდა იქნას მიღებული არასრულწლოვნის პირადი შეხედულებები მისი საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას.[17]

არასრულწლოვანს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს სისხლის სამართლის პროცესში. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, კანონთან კონფლიქტში მყოფ ნებისმიერ არასრულწლოვანს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს იმ გადაწყვეტილების მიღებაში, რომელიც გავლენას

---

[14] ჩხაიძე ა, „გარდატეხის ასაკი (11-18 წლის ბავშვის ასაკობრივი განვითარება) მშობლის მეგზური“, world vision, https://www.wvi.org/

[15] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი, მუხ. 8(1)(ა); გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები, პარაგრაფი: 10, 11, 14, 16; ლანზაროტეს კონვენცია, მუხ. 31, ნაწ. 1

[16] ევროპული წესი, წესი 5

[17] ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები III.ბ.2.ა; გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, კომენტარი 12, პარაგრაფერბი: 70-71, 74

ახდენს მასზე, ასევე აქვს უფლება მოუსმინოს სასამართლო პროცესს.[18] არასრულწლოვნის შეხედულებები მხედველობაში უნდა იქნას მიღებული, მისი განვითარების გათვალისწინებით, არ აქვს მნიშვნელობა ეს მოსმენა უშუალოდ განხორციელდება თუ კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სამართლიანი სასამართლოს უფლება, უფლება იურიდიული დახმარების მიღებაზე და სხვა უფლებები ისევე უნდა იყოს გარანტირებული არასრულწლოვნებისათის, როგორც ეს გარანტირებულია სრულწლოვნებისათვის.[19]

საერთაშორისო კონვენციებით არის განმტკიცებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა,[20] მათ შორისაა ბავშის უფლებათა კონვენცია, რომელიც არასრულწლოვანს ანიჭებს უფლებას, რომ მის საქმესთან დაკავშირებული გადაწყვეტილების გამოტანა მოხდეს გაჭიანურების გარეშე კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლოს მიერ.[21]

როგორც ვხედავთ არასრულწლოვანთა დანაშაულებრივი ქმედებები მხოლოდ საქართველოს შემთხვევაში არ წარმოადგენს პრობლემას. იგი იმდენად მაშტაბურია, რომ არასრულწლოვნებთან მიმართებით რიგი საერთაშორისო კონვენციები, აქტები და რეკომენდაციებია მიღებული.

---

[18] გაეროს ბავშის უფლებათა კონვენცია, მუხ. 12(2)

[19] ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები, პრინციპი 3

[20] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ. 40(2)(ბ)(ii); საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR), (1966), მუხ. 9(3); აფრიკული კონვენცია ადამიანის და ხალხის უფლებების შესახებ, 1982 წ., მუხ, 7(1)(დ); ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (ACHR), 1969 წ., მუხ. 8(1); ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (ECHR), 1950 წ., მუხ. 6(1); იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები, მუხ. 13

[21] გაეროს ბავშის უფლებათა კონვენცია, მუხ. 40(2)(ბ)(iii)

თავი II. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისა და განრიდების ისტორია

2.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წარმოშობა

პირველად ამერიკის შეერთებულ შტატებში ჩაეყარა საფუძველი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ჩამოპყალიბებას. კერძოდ, XIX საუკუნეში გაჩნდა არასრულწლოვან დამნაშავეთა სამეურვეო მეთვალყურეობაში გადაცემის იდეა. ილინოისი შტატში კი 1899 წელს საფუძველი ჩაეყარა არასრულწლოვანთა სასამართლოს შექმნას. მას მიყვა ინგლისი და პირველად 1908 წელს მნიშვნელოვანი ნორმები იქნა მიღებული. 1914 წელს კი საფრანგათში აშშ-ს მაგალითზე ჩამოყალიბდა არასრულწლოვანთა სასამართლო.[22]

არიან სახელმწიფოები, რომლებიც ახდენენ არასრულწლოვანზე მორგებული გარემოს შექმნას, ინსტიტუციურად ქმნიან სხვაგვარ სტრუქტურას, რომელიც განსხვავდება ისეთი მართლმსაჯულებისგან, რომელიც მიმართულია სრულწლოვნებისკენ და აყალიბებენ დამოუკიდებელ სასამართლოებს. ასეთია: აშშ, გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი.[23]

რაც შეეხება საქართველოს, 1999 წლამდე სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკი იყო 16 წელი. როდესაც ვსაუბრობთ პასუხისმგებლობისგან გათავისუფლებაზე და ასაკზე, აღსანიშნავია, რომ 14-16 წლის არასრულწლონების მიმართ დგებოდა პასუხსიმგებლობა, თუ მათ მიერ ჩადენილი იყო მძიმე და განსაკუთრებიტ მძიმე დანაშაული.[24] 1999 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკად, ყველა სახის დანაშაულისთვის განისაზღვრა 14 წელი.[25] რაც დასაფასებელია, რადგან არასრულწლოვნებს პასუხისმგებლობის აღებიბის უნარი ადრეულია ასაკიდანვე უნდა ჩამოუყალიბდეთ.

---

[22] უსუფაშვილი გ., არასრულწლოვნის განრიდება და მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2019 წ., გვ. 40-41

[23] გუცენკო ფ. კ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმინოვი ბ. ა., დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007 წ., გვ., 539

[24] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, გამომცემლობა: მერიდიანი, თბ., 2016 წ.

[25] იქვე

2.2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თეორიები

არასრულწლოვნების მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით არსებობს თეორიები:

- ანომია - „საზოგადოების ისეთი მდგომარეობაა, რომელიც ხასიათდება სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით, ან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით. ეს ცნება პირველად გამოიყენა დიურკემმა ნაშრომში „თვითმკვლელობა“ (1897), რათა აღეწერა ისეთი საზოგადოება, რომელშიც ინდივიდებს არა აქვთ, ან არ ცნობენ არანაირ მყარ სახელმძღვანელო პრინციპებს იმ გზების შესახებ, თუ როგორ მოექცნენ ერთმანეთს.“[26]
  ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სოციალური ურთიერთობების მარეგულირებელი ნორმების შესუსტებით, ან მათ მიმართ გულგრილი დამოკიდებულებით იმ ჰარმონიულ არსებობას ვერ მივაღწევთ, რომლისკენაც ვილტვით.

- სუბკულტურის თეორია - რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა ქოენის მიერ, წარმოიშვა არასრულწლოვან ვაჟებზე დაკვირვების შედეგად, როდესაც ისინი კრიმინალურ დაჯგუფებებში ხვდებოდნენ. დიდი ალბათობით დაბალი სოციალური ფენის ბავშვები ნაკლები ღირებულებების მატარებლები არიან, ვიდრე საშუალო ფენის ბავშვები. დაბალი ფენის ბავშვები ვერ უწევენ კონკურენციას საშუალო ფენის ბავშვებს. კონკურენციის დროს დაბალი ფენის ბავშვებს უყალიბდებათ არასრულფასოვნების გრძნობა. ქოენის მიხედვით, ასეთი მოზარდები კულტურული სისტემის საკუთარ ფორმას აყალიბებენ.[27]
  სახელმწიფომ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რომ არასრულწლოვნობის ასაკში, ბავშებს არ ჩამოუყალიბდეთ არასრულფასოვნების გრძნობა.

- ვოლტერ მილერის აზრით, სუბკულტურის წარმოშობის მიზეზია არა ფენებს შორის კონფლიქტი, არამედ დაბალი ფენის ქცევის (მარეგულირებელი) ელემენტი.[28]

---

[26] http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2864 (ნანახია: 26.06.2021)

[27] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, გამომცემლობა: მერიდიანი, თბ., 2016 წელი, გვ. 52, 53

[28] იქვე, გვ. 53

მილერის აზრით, დაბალი ფენის კულტურული განვითარების საფუძველი არის ექვსი მნიშვნელოვანი და ცენტრალური ასპექტი. ესენია: სიძნელეები, სიძლიერე, გონებრივი მოქნილობა, აღგზნებადობა, ბედისწერა და ავტონომია.[29]
მისი აზრით, საზოგადოებისგან „გარიყული ჯგუფების“ მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებები არის შედეგი იმ ნორმებისა და ღირებულებების, რაც დაბალი ფენისთვისაა დამახასიათებელი. ქოენისა და მილერის სუბკულტურებს შორის არსებობს განსხვავება, პირველ რიგში სუბკულტურის ცნებაში. ქოენის მიხედვით, სუბკულტურას დიდი ზეგავლენა აქვს სუბკულტურის წევრთა სტატუსზე. მილერისთვის კი სუბკულტურა საზოგადოებაში ტრადიციებზე დამყარებული ავტონომიური სისტემაა. სწორედ ამიტომ მიაჩნია მილერს, რომ მუშათა კლასის წარმომადგენლების მიერ ჩადენილი დანაშაული მათი კულტურული ტრადიციების გამო ხდება.[30]
საზოგადოებისგან არ უნდა იქნას გარიყული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანთა ჯგუფი, რადგან ისინი ცხოვრების ისეთ ეტაპს გადიან, რომელიც კრიზისულია და მათ ჩამოუყალიბებელ ფასეულობებს ხელი უნდა შევუწყოთ სწორი მიმართულებით განვითარებისკენ.

- ჰირშის მიხედვით კონტროლი გულისხმობს, არა პირდაპირ კონტროლის განხორციელებას, არამედ მჭიდრო კავშირს მშობლებთან და მეგობრებთან.
  თავის კვლევებზე დაყრდნობით, ჰირშმა აღწერა ,,კონტროლის თეორია“. ჰირშის მიხედვით ადამიანისა და ნორმების კავშრი ოთხ ელემენტად იყოფა. ესენია:
  1. რაციონალური კომპონენტი;
  2. ემოციური კომპონენტი;
  3. დროის კომპონენტი
  4. მორალური კომპონენტი.[31]

[29] შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბ., 2011 წ., გვ. 50.
[30] იქვე
[31] შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, მეორე გამოცემა, გამომცემლობა: მერიდიანი, თბ., 2016 წ., გვ. 55-57

დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მოტივაცია შეიძლება სხვადასხვა იყოს. დანაშაულის ჩადენისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოტივს. მოტივაციის ხარისხი ცვალებადია და ის შეიძლება, როგორც შესუსტდეს, ისე გაძლიერდეს. ცალკეული შემთხვევების შეფასებით დგინდება, რომ ცხოვრებისეულმა პირობებმა შესაძლებელია ხელი შეუშალონ, ან ხელი შეუწყონ პირის მიერ დანაშაულის ჩადენას.[32]

სწორედ, რომ ცხოვრებისეული პირობები უნდა იქნას შექმნილი არასრულწლოვნებისთვის, რომ დანაშაულებრივი ქმედების მოტივაცია არ ჰქონდეთ მათ.

ჰირში განმარტავს, რომ მოსაზრება, რომლის მიხედვითაც, კრიმინალი მშობლები შვილებს უბიძგებენ დანაშაულის ჩადენისკენ არ დასტურდება. ყველაზე მნიშვნელოვანი არის მშობლებსა და შვილებს შორის კარგი ურთიერთობა და არა იმის განსაზღვრა მშობელი დამნაშავეა თუ არა. მშობლებისა და შვილების ურთიერთობა ხელს უწყობს სოციალურ განვითარებას. შვილები, რომლებსაც ცუდი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, პატივს არ სცემენ მასწავლებელთა შეხედულებებს და არ უყვართ სკოლა. ასეთი მოსწავლეები კონფლიქტურები არიან, რადგან მათ ჰგონიათ, რომ რადგან სახლში ცუდი ურთიერთობა აქვთ მშობლებთან, ასეთივე დამოკიდებულება უნდა მიიღონ მასწავლებლებისგანაც.[33]

როდესაც საუბარია მშობლებსა და შვილებს შორის ურთიერთობაზე, ჩვენი საკვლევი თემიდან გამომდინარე, განრიდების ღონისძების გამოყენების დროს, სწორედ ამას უნდა მიექცეს მნიშვნელოვანი ყურადღება, რადგან შვილები ხშირ შემთხვევაში დანაშაულებრივ ქმედებას იმიტომ სჩადიან, რომ ყურადღება აკლიათ მშობლების მხრიდან და შესაძლებელია, რომ მათი ყურადღების მიქცევის მიზნითაც იქცეოდნენ.

- დიფერენციალური კავშირის თეორია - ედვინ სათერლენდმა განიხილა 1939 წელს. მისი თეორია მოიცავდა, როგორც ინდივიდუალურ ისე სოციალურ ფაქტორებს. ამ თეორიას აქვს 9 დებულება, რომელიც პრინციპების სახელითაა ცნობილი, თუმცა

[32] იქვე, გვ. 58-59

[33]შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბ., 2011 წ., გვ. 55-57

თავად სათერლენდი განმარტავს, რომ ეს დებულებები ერთგვარი პროცესია, რომლის შედეგადაც ხდება პიროვნების დანაშაულებრივ ქმედებაში ჩაბმა.[34]
ამ პრინციპების მიხედვით, დანაშაულებრივი ქმედება შეისწავლება, რაც იმას ნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ქცევის მემკვიდრეობით გადაცემა არ ხდება. დანაშაულებრივი ქცევის შესწავლა ხდება სხვა პირებთან კომუნიკაციის დროს. სადაც პირებს ერთმანეთთან პირადი კავშირი აქვთ და ა. შ.[35]
ამიტომაც, არ უნდა მოხდეს არასრულწოვნის თუნდაც ერთი შანსის გარეშე დატოვება, რომ მოინანიოს თავისი ქმედება და ცხოვრება განაგრძოს მისთვის სასიკეთოდ მოქმედ გარემოში, ვიდრე ეს იქნება სასჯელაღსრულების დაწესებულება, სადაც იგი ისეთ დამნაშავეთა გვერდით აღმოჩნდება, რომელიც მასზე ცუდ გავლენას იქონიებენ.

- ფრუსტაცია-აგრესიის თეორიის თაანხმად - ფრუსტაცია ჩნდება მაშინ, როდესაც ადამიანებს არ ააქვთ შესაძლებლობა მიაღწიონ საკუთარ მიზნებს. ფრუსტრაციის აღძვრა კი ზრდის აგრესიის განხორციელების ალბათობას. მეცნიერებმა ეს ჰიპოთეზა აგრესიული ქცევის ასახსნელად გამოიყენეს, თუმცა, ფრუსტრაციას ყოველთვის არ მივყავართ აგრესიამდე.[36]
არასრულწლოვნობის პერიოდში, როდესაც საქმე გვაქვს არასრულწლოვნების თვითშეფასების ჩამოყალიბების საკითხთან, უნდა განხორციელდეს საზოგადოების და სახელმწიფოს მხრიდან არასრულწლოვნების თვითშეფასების ამაღლებისაკენ ორიენტირებული ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნებში დანაშაულებრივი ქმედებისკენ მოტივაციის დაქვეითებას.

2.3 განრიდების პროგრამის წარმოშბა

როგორც წესი, დანაშაულის მატებას, სახელმწიფოს მხრიდან სისხლისსამმართლებრივი პოლიტიკის გამკაცრება სდევს თან. საქართველომაც სწორედ რომ ამ მიდგომით გადაწყვიტა დანაშაულთან ბრძოლა და საქართველოს პრეზიდენტმა 2006 წლის 14 თებერვლის ყოველწლიური შემაჯამებელი საანგარიშო საპარლამენტო მოხსენებისას გამოაცხადა, რომ დაიწყებდნენ კრიმინალის მიმართ „ნულოვანი

[34] იქვე, გვ. 58
[35] იქვე, გვ. 58-59
[36] http://dictionary.css.ge/content/frustration-aggression-hypothesis (ნანახია: 26.06.2021)

ტოლერანტობის“ პოლიტიკას, რომელიც უნდა განხორციელებულიყო „ყველა ციხეში“ პრინციპით, რაც გულისხმობდა, რომ ნებისმიერი სახის დანაშაული სახელმწიფოს მხრიდან მოყვებოდა მყისიერი და მკაცრი რეაქცია.[37]

ვფიქრობ, რომ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკამ არასრულწლოვნებთან მიმართებით მიგვიყვანა უფრო მძიმე შედეგებამდე, ვიდრე პირიქით.

ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ XXI საუკუნის დასაწყისში სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების მხოლოდ 15% იყო ისეთი გამამტყუნებელი განაჩენი, რის დროსაც არასრულწლოვან ბრალდებულებს მოუწიათ სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრა. ყოველწლიურად ეს მაჩვენებელი უფრო და უფრო იზრდებოდა. 2006 წლისთვის ეს მაჩვენებელი 2.5-ჯერ გაიზარდა. არასრულწლოვანთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხვედრის მაჩვენებელმა პიკს 2007 წელს მიაღწია.[38]

შესაბამისად, არასრულწლოვნებთან მიმართებით დანაშაულებრივი ქმედების აღკვეთისკენ გზა მიდის არა ნულოვანი ტოლერანტობის გზით, არამედ მეტად ლიბერალური მიდგომით.

ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის თომას ჰამერბერგის საქართველოს მიმართ შედგენილ 2011 წლის 11 ივლისის დასკვნაში გაკრიტიკებულ იქნა ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა. ჰამერბერგი ხელისუფლებას ურჩევს, რომ შემუშავდეს უფრო ჰუმანური და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული პოლიტიკა, რომელიც დასჯაზე კი არ იქნება ორიენტირებული, არამედ გამოსწორებაზე ორიენტირებულ მართლმსაჯულების პრინციპებს დაეყრდნობა.[39]

1985 წელს, გაერომ მიიღო „გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებისათვის“. ზემოხსენებული წესების მე-11 მუხლი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, არასრულწლოვანთა საქმეები პრივილეგირებულად გადაწყვეტონ ფორმალური სასამართლო პროცესის გარეშე. განარიდონ ისინი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რათა მცირე მნიშვნელობის გამო არ მოხდეს მათი სტიგმატიზაცია. 1989 წელს იქნა მიღებული გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, რომლის

---

[37] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ 24

[38] როსტიაშვილი ბ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ, 2020 წ., გვ. 22

[39] ქუთათელაძე მ., განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, გვ. 24, თბ., 2017

წევრი ქვეყნებიც იღებენ ვალდებულებას, რომ ყველა ღონეს გამოიყენებენ, რათა შემოიღონ ისეთი პროცედურები, რომლებიც საშუალებას მისცემს მათ, დანაშაულში ბრალდებული ბავშვის მიმართ საქმეები გადაწყვიტონ პროცესის მწარმოებელი ორგანოების მიმართვის გარეშე.[40]

ბავშვთა კონვენციით კი სახელმწიფოებს ევალებათ, ყველა ღონე იხმარონ, რათა არსებობდეს ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთვევაში მისი არაფორმალური გზით გადაჭრის საშუალება და პროცედურული გარანტიები. განრიდების ინსტიტუტის არსი და კონკრეტული პარამეტრები ჩამოყალიბებულია გაეროს წესებსა და სახელმძღვანელო პრინციპებში. ესენია:

- პეკინის წესები 1985 წ.;
- ტოკიოს წესები 1990 წ.;
- ერ-რიადის სახელმძღვანელო პრინციპები 1990წ.;
- გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად 1990 წ.[41]

„კომპეტენტური ორგანო უნდა შეეცადოს, სადაც ეს შესაძლებელია, ფორმალური სასამართლო პროცესისადმი მიმართვის გარეშე არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმის გადაწყვეტისას; პოლიცია, პროკურატურა თუ არასრულწლოვანთა საქმეებზე მომუშავე სხვა ორგანოები უნდა სარგებლობდნენ ასეთი საქმეების საკუთარი შეხედულებით, ფორმალური სასამართლო განხილვის გარეშე გადაწყვეტის უფლებამოსილებით - იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შესაბამის სამართლებრივ სისტემაში დადგენილია ამ მიზნით და, ასევე, წინამდებარე წესებში მოცემული პრინციპების გათვალისწინებით;“[42]

პეკინის წესების მიხედვით, შიდასახელმწიფოებრივი სამართლით უნდა იყოს განსაზღვრული განრიდების კრიტერიუმები. კრიტერიუმები მოხსენიებულია ბრძანების ამ ნაწილშიც. ესენია:

- პირი უნდა იყოს არასრულწლოვანი;
- ჩადენილი უნდა ჰქონდეს ნაკლებად მძიმე დანაშაული;
- ეს უნდა იყოს პირველი შემთხვევა.

ვფიქრობ, ეს უკანასკნელი უფრო მხედველობაში მისაღები უნდა იყოს, ვიდრე კრიტერიუმის სახით დადგენილი, რომელიც ქართულმა კანონმდებლობამ უკვე აღმოფხვრა, რომლითაც განრიდების პროგრამა

---

[40] იქვ.

[41] იქვე

[42] გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ, პეკინის წესები, მუხ. მე-11

გავრცელდება იმათზე, ვისაც არ აქვთ ნასამართლობა და ვინებიც მანამდე არ იყვნენ განრიდების პროგრამის სუბიექტები.

რამდენად აღმოფხვრილია ეს ხარვეზი, საკითხავია, რადგან განრიდების პროგრამით, შანსის მიცემა არასრულწლოვნის რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით არ უნდა იყოს ერთჯერადი, არამედ უნდა ხორციელდებოდეს ინდივიდუალური შეფასებით და არა, თუნდაც ერთი შანსის მიცემის შემდგომ მისთვის შანსის მოსპობით. თუ დავუკვირდებით, ეს კრიტერიუმი სწორედ იმას გულისხმობს, რომ მეორე შემთხვევის დროს არ უნდა იქნას გამოყენებული განრიდება, რაც დაუშვებელი უნდა იქნას.

გამომდინარე იქიდან, რომ საქართველო გაეროს წევრი სახელმწიფოა, საქართველოსთვის დიდ მნიშვნელობას იძენს გაეროს მითითებების და განკარგულებების შესრულება.

განრიდების პროგრამა საქართველოში ინერგებოდა 2010 წლიდან. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N 216 ბრძანების მიხედვით განრიდების პროგრამა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობიდან განთავისუფლების ახალი მექანიზმი იყო, რომელიც ეტაპობრივად უნდა დანერგილიყო.

2.4 განრიდების პროგრამის განვითარება

პროგრამა საპილოტე რეჟიმში მოქმედებდა 2010 წლიდან 2013 წლამდე და ეტაპობრივად ემატებოდა სხვადასხვა ქალაქი. თავიდან პროგრამა ვრცელდებოდა საქართველოს 4 ქალაქში: თბილისი, რუსთავი, ქუთაისი, ბათუმი. 2011 წელს პროგრამას დაემატა 2 ქალაქი: გორი და სამტრედია.[43] 2013 წლის აგვისტომდე პროგრამას ეტაპობრივად ემატებოდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქი, ხოლო 2013 წლის აგვისტოდან კი მოქმედებს მთელი საქართველოს მასშტაბით.[44]

გაკვირვებას არ გამოიწვევს ის ფაქტი, რომ განრიდების პროგრამის მიმდინარეობისას არაერთი ხარვეზი გამოიკვეთა, რამაც ცვლილებების შეტანის აუცილებლობა გამოიწვია „განრიდებისა და მედიაციის შესახების პროკურორებისთვუს სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის

[43] დანაშაულის პრევენციის ცენტრი, არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, 2015 წლის ანგარიში
[44] http://prevention.gov.ge/page/28/geo [10.06.2021]

№216 ბრძანებაში, ასევე საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის მინისტრისა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ბრძანებაში.[45]

არასრულწლოვნის განრიდების და მედიაციის პროგრამის 2014 წლის ანგარიშში აღნიშნულია ის ცვლილებები, რომელიც განხორციელებულ უნდა ყოფილიყო იმავე წელს, კერძოდ:

- იუსტიციის მინისტრის ცვლილებებამდე მოქმედ ბრძანებაში მითითებული იყო, რომ განრიდების პროგრამაში ვრცელდებოდა მხოლოდ პირველად ჩადენილ დანაშაულებზე, რაც ეწინააღმდეგება ბრძანების სხვა მუხლებს, როგორიცაა თუნდაც დანაშაულის ერთობლიობის დაშვებას. შესაბამისად, ცვლილება შევიდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებაში, გაუქმდა პირველად ჩადენილი დანაშაულის ცნება ნაცვლად ამისა პროგრამა გავრცელდა არასრულწლოვნებზე, რომლებსაც არ აქვთ ნასამართლობა და არ არიან მანამდე განრიდებულები.
- საქართველოს იუსტიციის მინისტრის ცვლილებებამდე მოქმედი ბრძანება შესაბამისობაში იყო მოსაყვანი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან, სადაც დაშვებულია, რომ განრიდების პროგრამა ვრცელდება, როგორც ნაკლებად მძმე, ასევე მძმე დანაშაულებზე, ამ ბრძანებით კი შეზღუდული იყო პროგრამა მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულებით. შესაბამისა ცვლილების შემდგომ განრიდების პროგრამა დასაშვები იქნა როგორ ნაკლებად მძიმე დაშანაულის ჩადენის, ასევე მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადნეის შემთხვევაში.
- თუ მანმადე აუცილებელ პირობად განსაზღვრული იყო არასრულწლოვნის მზადყოფნა, ბოდიში მოიხადოს დაზარალებულის წინაშე (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და აანაზღაუროს ზიანი, ასევე დაზარალებულის უარი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაზე, ცვლილების შემდეგ აღნიშნული გარემოებები შეიძლება ასახულ იქნას ხელშეკრულების პირობად.
- მნიშვნელოვანი იყო ცვლილება ვადებთან დაკავშირებითაც. ვადების არარსებობის გამო მომხდარა ისე, რომ განხორციელებულა ფორმალური, არაფრისმომცემი განრიდება. იყო შემთხვევები, როდესაც განრიდების ხელშეკრულება გაფორმდა დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე თვის ან წლის შემდეგაც კი. ამ შემთხვევაში კი განრიდების პროგრამის არსი

[45] დანაშაულის პრევენციის ცენტრი, არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, 2014 წლის ანგარიში

ფაქტობრივად აზრს კარგავს და შეუძლებელი ხდება დასახული მიზნების მიღწევა. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად ცვლილებებით, პროგრამაში ჩართულ პროფესიონალებისათვის დაწესდა ვადები და უკვე არსებული ვადები, პრაქტიკის შესაბამისად დაიხვეწა.

- პროგრამის დანერგვის დღიდანვე იყო ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დანაშაულის პრევენციის ცენტრი, რომლის მიერ ხორციელდება პროგრამის ზოგადი მენეჯმენტი, პროკურორების, სოციალური მუშაკების და მედიატორების კოორდინირება და მათთვის განრიდების საკითხებში პროფესიული დახმარების გაწევა. თუ ცვლილებებამდე ბრძანებაში არ იყო ნახსენები და გამოკვეთილი ცენტრის როლი, ცვლილებების შემდგომ გამოიკვეთა ცენტრის ფუნქციები.
- ზემოხსენებულ მნიშვნელოვან და შინაარსობრივ ცვლილებებთან ერთად, განხორციელდა ბრძანებაში არსებული სხვა ნაკლებად მნიშნელოვანი ხარვეზების აღმოფხვრაც, რამაც განრიდების პროგრამა უფრო ეფექტური და მოქნილი გახადა.[46]

2016 წლის პირველ იანვარს ამოქმედდა საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომლის მიხედვითაც ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად კიდევ უფრო დაიხვეწა და გაუმჯობესდა განრიდების მექანიზმი. ზემოხსენებული კოდექსის მიღება საქართველოს კანონმდებლობისთვის ნოვაციას წარმოადგენდა და სწორედ მისი წყალობით არსებითი და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა არასრულწლოვანთა ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებისკენ.

კოდექსის მიხედვით, განრიდება გახდა პრიორირეტული და კრიტერიუმრბის არსებობის შემთხვევაში, პროკურორმა პირველ რიგში, უნდა განიხილოს განრიდების შესაძლებლობა და მხოლოდ შემდეგ დაიწყოს ფიქრის სისხლისსამართლებრივ დევნაზე. ამ უკანასკნელმა პროკურორები დაავალდებულა, რომ გაითვალისწინონ არასრულწლოვნების ინდივიდუალური შეფასება და მასზე დაყრდნობით თუ განრიდების პროგრამის პირობებს დააკმაყოფილებს არასრულწლოვანი, მასზე გავრცელდეს აღნიშნული პროგრამა.განრიდება გავრცელდა 14-18 წლის არასრულწლოვნების გარდა 18-21 წლამდე პირებზეც. განრიდების უფლებამოსილება აგრეთვე მიენიჭა სასამართლოსაც. კერძოდ 2016 წლის

[46] იქვე

პირველი იანვრიდან მოსამართლე უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობით ან თავისი ინიციატივით საქმე დაუბრუნოს პროკურორს განრიდების მიზნით. ცვლილებით მედიატორის როლი უფრო გაიზარდა. კოდექსის მიხედვით პროკურორისა და სოციალური მუშაკის დასწრება კონფერენციაზე სავალდებულო აღარაა.[47]

[47] დანაშაულის პრევენციის ცენტრი, არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, 2016 წლის ანგარიში

თავი III. არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების თავისებურებები

3.1 განრიდების გამოყენების საფუძვლები

გაეროს ბავშვთა უფლებათა კომიტეტის განმარტებით, საჭიროება მოითხოვს, რომ არასრულწლოვნებს სრულწლოვნებისგან განსხვავებული მიდგომით მივუდგეთ, მათი განსაკუთრებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებიდან გამომდინარე. გამომდინარე აქედან, სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ისეთი მიზანი, როგორიცაა მაგალითად სამართლიანობის აღდგენა, უნდა ჩაანაცვლოს რეაბილიტაციის მიზანმა, რაც საბოლოო ჯამში, სწორედ, რომ საზოგადოების უსაფრთხოების მიზანს ემსახურება.[48] არასრულწლოვანთა მიმართ განრიდების გამოყენების ერთ-ერთ საფუძვლად, სრულებით რელევანტური იქნება თუ წარმოვაჩენთ განრიდების პროგრამის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს, რომელიც არის არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესი, რომელიც პეკინის წესების მიხიედვით, პირველ ყოვლისა მიიღება მხედველობაში. „საუკეთესო ინტერესის ტესტი“ გულისხმობს, რომ მინიმუმამდე იქნას დაყვანილი სადამსჯელო ღონისძიებების გატარება მართლმსაჯულების მხრიდან და მაქსიმალურად ხელი შეეწყოს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რეინტეგრაციას.[49] ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა მოხდეს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა, რომელიც ძალზედ მნიშვნელოვაია. საუკეთესო ინტერესის ტესტი აუცილებელია, რომ მოსამართლის მიერ გათალისწინებულ იქნას, თუ რა შედეგი შეიძლება მოახდინოს სასჯელმა არასრულწლოვანზე და შესაბამისად, შეუფარდოს არასრულწლოვნის კეთილდღეობასა და განვითარებაზე ნაკლები გავლენის მქონე სასჯელი.[50]

ინდივიდუალურობის პრინციპზე დაყრდნობით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით წამოყენებულია მოთხოვნა, რომ მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანის მიმართ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, არასრულწლოვნის მიმართ გამოჩენილ უნდა იქნას განსაკუთრებული ყურადღება და მხდეველობაში მიღებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის ისეთი ინდივიდუალური მახასიათებლები, როგორიცაა: ასაკი, განვითარების დონე, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება,

---

[48] გაეროს ბვაშვთა უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი

[49] პეკინის წესები, წესი 5

[50] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, გვ. 60

ცხოვრბეის, აღზრდის და განვითარებუს პირობები და ასევე სხვა გარემოებები, რაც არასრულწლოვნის ხასიათის, ქცევის თავისებურებების შეფასებისა და მისი საჭიროების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.[51]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი განამტკიცებს არასრულწლოვანთა ჰარმონიული განვითარების უფლებას. შესაბამისად არასრულწლოვნებს გააჩნიათ ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ჩართულმა პირებმა კი უნდა უზრუნველჰყონ ისე, რომ არ შეიქმნას რაიმე დაბრკოლება არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარებისთის, რაც მნიშვნელოვანია საზოგადოებაში სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებისთვის.[52]

თანაზომიერება არის პრინციპი, რომელიც, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო აქტებითაა აღიარებული. როგორც ევროპულ წესებშია მითითებული, სანქციების გამოყენება არსრულწლოვნების მიმართ უნდა ეფუძვნებოდეს მათ საუკეთესო ინტერესს, მხედველობაში იქნას მიღებული არასრულწლოვნის ასაკი, ფიზიკური და გინებრივი განვიუთარება შესძლებლობები და პიროვნული მახასიათებლები.[53] აუცილებელია, რომ კანონთღან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა იყოს დამნაშავისა და დანაშაულის ჩადენის დროისათის არსებული გარემოებების, ასევე დანაშაულის სიმძმისა და არასრულწლოვნისა და საზოგადოების საჭიროებების/მოთხოვნების პროპორციული.[54] აუცილებელია არასრულწლოვნის დანაშაულის სიმძიმესთან ერთად გათვალისწინებულ იქნას თავად არასრულწლოვნის ცხოვრება, რომელიც უნდა შეფასდეს ობიექტურად. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ზომა უნდა იყოს ჩადენილი ქმედების თანაზომიერი, აგრეთვე არასრულწლოვნის პიროვნების, ასაკის, მისი საგანმანათლებლო, სოციალური და სხვა საჭიროებების შესაბამისი.[55]

გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის თანახმად, წევრი სახელმწიფოები შესაძლებლობის ფარგლებში ვალდებულნი არიან, ხელი შეუწყონ ალტერნეტიული ზომების გამოყენებას არასრულწლოვნების

---

[51] იქვე 61
[52] იქვე 63
[53] ევროპული წესი 5
[54] გაეროს არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები, მუხ. 13, ნაწ. 3
[55] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროეტზე, გვ. 64

მიმართ, კერძოდ ყველაზე მსუბუქ საშუალებას და ალტერნატიული ზომების პრიორიტეტულობას უნდა მიეცეს მეტი შესაძლებლობა.[56]

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მიხედვით ნებისმიერი ზომა, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ სასამართლოში საქმის განხილვის ნაცვლად გამოიყენება, უნდა ემსახურებოდეს არასრულწლოვნის უფლებებსა და სამართლებრივი გარანტიების დაცვის მიზანს.[57]

განრიდების გამოყენება შესაძლებელია ნაკლებად მძმე ანა მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, თუ დადგინდება, რომ აღნიშნული უზრუნველყოფს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაცილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების შესაძლებლობას. არასრულწლოვანის განრიდებაზე უარი უნდა დასაბუთდეს. უპირველეს ყოვლისა, გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს, თუ რატომ ვერ იქნა მიღწეული რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის პრევენციის მიზანი განრიდების ღონისძების გამოყენებით.[58] ბავშვის უფლებათა კონვენციის მითითებით, კი პატიმრობა უნდა იქნას გამოყენებული, როგორც უკიდურესი ზომა.[59]

პროკურორმა უნდა დაადგინოს, როგორი კატეგორიის დანაშაული ჩაიდინა არასრულწლოვანმა, რადგან განრიდების პროგრამის გამოყენების საფუძველი მხოლოდ ნაკლებად მძიმე და მძიმე კატეგორიის დანაშაულის დროს შეიძლება იყოს.[60]

3.2 განრიდების პროგრამის პრინციპები

სიტყვა „პრინციპი“ ლათინური წარმოშობისაა და სახელმძრანელო იდეას ნიშნავს, რომელსაც ადამიანი ემყარება თავის მოქმედებაში. პრინციპი სხვადასხვა სახის არსებობს: მეცნიეერული, ზნეობრივი, იურიდიული, რელიგიური, ფილოსოფიური და სხვა. არ არსებობს ადამიანი პრინციპის გარეშე, მაგრამ საკითხავია ის, თუ რამდენად სწორ პრინციპს ემყარება ადამიანის მოქმედება, ფასეულობა, რწმენა და ქცევის წესი.[61] თითოეულ

---

[56] გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენცია, მუხ. 40, ნაწ. 3(ბ)

[57] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე, გვ.65

[58] იქვე 65

[59] გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია, მუხ. 37

[60] არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებსი კოდექსი, მუხ. 38, ნაწ. 1

[61] ცოცანიძე გ., ლოლაძე ნ., დათუკაშვილი ქ., ქართული ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გვ., 496.

დარგს გააჩნია პრინციპი, რომელსაც იგი ეფუძნება და რა თმა უნდა არც არასრულწლოვანთა განრიდება არ არის გამონაკლისი.

უშუალოდ არასრულწლოვანთა განრიდება დაფუძნებულია იმ ექვს ძრითად პრინციპზე, რომელიც ასულდგმულებს პროგრამას. ესენია:

1. ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა;
2. ნებაყოფლობითობა;
3. პროპორციულობა;
4. კონფიდენციალურობა;
5. სტიგმატიზაციის დაუშვებლობა;
6. არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება.

ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის პირველი თებერვლის ბრძანებაში აღნიშნულია, რომ: „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიულ ზომებს ენიჭება.“[62] ალტერნატიული მექანიზმების გამოყენების მაქსიმალური ხელშეწყობის პრინციპი, ეს არის საქართველოში არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების რეალობას მორგებული პრინციპი, რომლის მიზანია უარყოფითი შედეგების განეიტრალება ისეთი ლიბერალური პროგრამით, როგორიცაა განრიდება.[63] სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების პროცესში სიტყვა „განრიდება“ მოცემული კონტექსტით გულისხმობს არასრულწლოვნის ისეთი სახით მონაწილეობას, რომელიც მისი ფსიქიკისთვის ნაკლებად საზიანო იქნება.[64] ნაკლებად საზიანო იმიტომ არის ხაზგასასმელი, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განსარიდებელ არასრულწლოვანს, რაღაც დოზით მაინც უწევს შეხება პროცესთან, თუნდაც გამოძიებასთან, ასევე პროკურორთან და ამ პროცესმა შეიძლება, რაღაც დოზით მაინც მოახდინოს კანონთან კონფლიქტშ მყოფი არასრულწლოვნის ფსიქიკაზე რეაგირება.

---

[62] საქ. იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებრვლის ბრძანება N 120, ქ., თბილისი.

[63] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 31

[64] იხ. იქვე

ნებაყოფლობითობა

საქართველოს იუსტიციის მინისტრის N216 ბრძანებაში აღნიშნულია, რომ განრიდების პროცესში მონაწილეობა არის ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება, რა დროსაც არასრულწლოვანი აღაირებს დანაშაულს. დაუშვებელია მხარეებზე ზეგავლენა მათი პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით. მხარეები უფლებამოსილი არიან განრიდების პროცესში მონაწილეობაზე უარი თქვან ნებისმიერ ეტაპზე.[65]

იურიდიულ ლიტერატურაში ნებაყოფლობასთან ერთად დამკვიდრებულია ფაქტიური არანებაყოფლობითობის ცნება. ფაქტიური არანებაყოფლობითობა სახეზე გვაქვს, როდესაც პროცესში მონაწილე ერთი მხარე იმდენად ძლიერია, რომ მას შეუძლია მოლაპარაკების დროს პირობები წაუყენოს მეორე მხარეს.[66]

აქ იგულისხმება ისეთი პირობები, რომლის წაყენების დროს, იმ პირს, რომელსაც უყენებენ პირობას სხვა გზა არ რჩება, გარდა წაყენებულ პირობაზე დათანხმებისა. ერთი შეხედვით ჩანს, რომ პირობას ეთანხმება, თუმცა ფაქტობრივი არანებაყოფლობითობა არის სახეზე, რადგან იძლებული გახდა დათანხმებოდა.

განრიდების პროცესში ფაქტიური არანებაყოფლობითობა სახეზე გვექნება, როდესაც პროკურორი მოზარდს მხოლოდ ერთი სახის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხოლოდ ერთ სავალდებულო საქმიანობას შესთავაზებს და მოზარდს არ ექნება სხვა სამუშაოს შესრულების ალტერნატივა.[67] ესეთი მიდგომა შეიძლება ითქვას, რომ იძულებით ხასიათს ატარებს და ასე ვერ მიიღწევა ის მიზანი, რომელ მიზანსაც ემსახურება განრიდების პროგრამა, თუნდაც არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვნის სათანადო განვითარება, საზოგადოებაში ინტერგრაციის ხელშეწყობა, რომელიც უნდა მიისწრაფოდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესისკენ. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები განიმარტება, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის,ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშორისო

---

[65] საქ. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N216 ბრძანება

[66] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013, გვ. 33

[67] იქვე

სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით.[68]

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ განრიდების პროცესის ერთ-ერთი პრინციპიც კი, რომელიც კონფიდენციალურობის სახით გვაქვს, ნებაყოფლობითობაზეა დამოკიდებული. ამით ვგულისხმობ იმას, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობით, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება, თუმცა კონფიდენციალურობის პრინციპი უშვებს გამონაკლისს, სახელდობრ, მხარეების ნების შემთხვევაში შეიძლება ინფორმაცია საჯარო იქნას.

პროპორციულობა

არასრულწლოვნის ქცევის შეზღუდვა და ვალდებულებები უნდა იყოს ჩადენილი ქმედების პროპორციული. პროპორციული ღონისძების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იყოს არასრულწლოვნის ასაკი და სხვა მახასიათებლები, ასევე ჩადენილი დანაშაულის ბუნება, სიმძიმე, მიყენებული ზიანი და გავლენა საზოგადოებაზე.[69] სწორედ, რომ პროპორციულობის პრინციპის დარღვევამ, შესაძლებელია გამოიწვიოს სამართლიანობის გრძნობის დაკარგვა, რამაც კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მხრიდან, შეიძლება უკმაყოფილების გრძნობა მოყვეს, რაც განრიდების პროგრამის მიზანს ეწინააღმდეგება.

არასრულწლოვანთა განრიდების პროცესში არსებობს პროპორციულობის პრინციპის გამოყენების საფუძვლები, რომელთა მიხედვითაც:

1. ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს;
2. ჩარევა უნდა იყოს ეფექტიანი დადგენილი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
3. ჩარევის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად;
4. ჩარევა უნდა იყოს ლეგიტიმური მიზნის შესაბამისი.[70]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, „თანაზომიერების პრინციპიდან გამომდინარე, ძირითად უფლებაში ნებისმიერ ჩარევა უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ მიზანს,...

---

[68] განმარტებითი ბარათი, საქართველოს კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“ პროექტზე. გვ. 59

[69] საქ. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანება

[70] დემეტრაშილი ა., კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011, გვ. 92

[და თუ ნორმა] არ ემსახურება ლეგიტიმურ მიზანს, არ ექვემდებარება თანაზომიერების ტექსტს და ხელყოფს ძირითადი უფლების ხელშეუხებელ არსს“.[71]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ სახელმწიფოსთის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ადამიანი, იგი უნდა იყოს პატივისცემის ობიექტი, მთავარი ფასეულობა და არა მიზნის მიღწევის საშუალება.[72]

ასევე საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ „ძირითადი კონსტიტუციური პრინციპები წარმოადგენს ადამიანის ღირსების დაცვის სამართლებრივ გარანტიას. ადამიანის ღირსება და პიროვნული თავისუფლება მის ძირითად უფლებებში, მათ ადეკვატურ დაცვასა და სრულად განხორციელებაში გამოიხატება. ამიტომ ამ უფლებებში სახელმწიფოს არათანაზომიერი, გადამეტებული ჩარევა ხელყოფს ადამიანის ღირსებასაც“.[73]

ჩვენ კი ვიციც, რომ ღირსება არის ის ფუნდამენტური და აბსოლიტური უფლება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კონსტიტუციით, რომელიც ხელშეუვალია და არ შეიძლება მისი რაიმე სახით ხელყოფა.[74]

კონფიდენციალურობა

კონფიდენციალურობის დეფინიცია საიდუმლოს არ გამჟღავნებაში მდგომარეობს.[75] საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების მიხედვით, განრიდების პროცესში არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შესახებ მიღებული ნებისმიერი ინფორმაცია კონფიდენციალურია და დაუშვებელია მისი გამჟღავნება, თუ მხარეები სხვაგვარად არ შეთანხმდნენ ან, კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათალისწინებული.[76]

ყველა ადამიანს გააჩნია უფლება თვითონ განსაზღვროს, თუ როგორ წარსდგეს სხვა პირთა წინაშე, ანუ როგორ წარმოაჩინოს საკუთარი პიროვნული პორტრეტი საზოგადოებისათვის.[77] მძიმე დანაშაულის

---

[71] საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება
[72] საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება
[73] საქ. საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება
[74] საქ. კონსტიტუცია, მუხ. 9., ნაწ. 1
[75] ცოცანიძე გ., ლოლაძე ნ., დათუკაშვილი ქ., ქართული ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, გვ. 334
[76] საქ. იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის №216 ბრძანება
[77] კიბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 121

ჩადენისა და საერთოდ დანაშაულის შესახებ პრესითა და ტელევიზიით გავრცელებული ინფორმაცია დამნაშავის სახელის მითითებით, სურათის ჩვენებით და პიროვნების აღწერით წარმოადგენს ინტენსიურ, მძიმე ჩარევას ამ პირის ზოგად პიროვნულ უფლებაში, კონკრეტულად საკუთარი პიროვნების წარმოსახვის უფლებაში. მაგრამ იმავდროულად არსებობს საზოგადოების განსაკუთრებული სიანფორმაციო ინტერესი მძიმე დანაშაულთა, მის ჩამდენ პირთა და ამის გამომწვევ მიზეზთა მიმართ. ასეთ შემთხვევაში აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ როცა საქმე ეხება აქტუალურ ინფორმაციას მძიმე დანაშაულთა შესახებ, საზოგადოების საინფორმაციო ინტერესი ყოველთვის მაღლა დგას დამნაშავის ზოგად პიროვნულ უფლებასთან შედარებით, მაგრამ ამ უფლების დაუშვებელ, გაუმართლებელ დარღვევას წარმოადგენს პრესის ან ტელევიზიის მიერ აქტუალური ინფორმაციის ფარგლების გადაჭარბებით, დროში შეუზღუდავად დამნაშავის პიროვნების დახასიათება, რომელიც კიდევ ერთხელ იხსენებს წარსულში მომხდარ ფაქტს, რომელიც აღარ არის აქტუალური და ამით მძიმედ არღვევს მსჯავრდებულის ზოგად პიროვნულ უფლებას. ეს ჩარევა განსაკუთრებით მაშინ არის დაუშვებელი, როდესაც სატელევიზიო ჩვენება დროით კავშირშია დამნაშავის განთავისუფლებასთან და ამით მნშვნელოვან საფრთხეს უქმნის მის რესოციალიზაციას.[78]

სტიგმატიზაციის დაუშვებლობა

სტიგმა ძველ საბერძნეთში დაღს ან ნიშანს აღნიშნავდა, რომლის მატარებელი ადამიანი მორალური დეფექტის მქონედ აღიქმებოდა, რომელთა რიგშიც შედიოდნენ დამნაშავეები, მონები, მოღალატეები.[79] სტიგმა ნეგატიური ნიშანია, რომელიც პიროვნების დისკრედიტაციას იწვევს.[80] სტიგმა სოციალური ფენომენია, რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სოციალურ სიტუაციაში არსებულ ღირებულებებთან.[81] სტიგმატიზირება ნიშნავს საზოგადოების უარყოფით დამოკიდებულებას გარკვეული ჯგუფის პიროვნებების მიმართ, როცა ერიდებიან მათთან ურთიერთობას და მეტიც, უარყოფენ კიდეც მათ, როგორც პიროვნებებს.[82] სტიგმამ შესაძლებელია შექმნას პიროვნების ისეთი კრიმინალური რეპუტაცია, რომელიც გაართულების ინდივიდის რესოციალიზაციას

---

[78] კიბლაშვილი კ., ძირითადი უფლებები, 2003, გვ. 121-122
[79] http://dictionary.css.ge/content/stigma
[80] იქვე
[81] სტიგა და მასთან დაკავშირებული საკითხები-http://intermedia.ge/
[82] იქვე

საზოგადოებაში. სტიგმა ბევრად უფრო საშიშ და ნეგატიურ ტერმინათ შეიძლება აღვიქვათ, ვიდრე დისკრიმინაცია, რადგანაც მას საბოლოოდ მთლიანი, სრულყოფილი პიროვნების გაუფასურებასთან მივყავართ.[83]

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების მიხედვით, დაუშვებელია არასრულწლოვნის სტიგმატიზაცია. შეფარდებული ღონისძება არ უნდა იწვევდეს არასრულწლოვნის სტიგმატიზაციას, მის მოწყვეტას ნორმალური სასწავლო პროცესისგან და არ უნდა ახდენდეს განსაკუთრებულ ზეგავლენას მისი ცხოვრების ჩვეულ რიტმზე. ყოველი მოქმედების დროს, რომელიც არასრულწლოვანს ეხება, სახელმწიფო ვალდებულია იზრუნოს არასრულწლოვნის ინტერესების დაცვაზე.[84]

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ეტიკეტირების თეორია. Labeling Approach წარმოდგება ინგლისურიდან. Label - ნიშNავს ეტიკეტს, ეტიკეტირებას, ხოლო Approach - მიდგომას, დაახლოვებას. ეტიკეტირების თეორია ცნობილია ასევე, როგორც „იარლიყის მიკერების“ თეორიის სახელწოდებით.[85] ეტიკეტირების თეორია პირველად ამერიკელმა სოციოლოგმა ფრანკ ტანენბაუმმა ჩამოაყალიბა 1938 წელს.[86] ეტიკეტირების თეორიის დახასიათება, რამაც მისი პოპულარობა გამოიწვია, ასევე ეკუთვნის ამერიკელ სოციოლოგს ჰოვარდ ბეკერს[87] და ადვინ ლემერტს.[88] ბეკერის აზრის ქმედებები თავისთავად არც კარგია და არც ცუდი. ნორმალურობა და დევიანტობა[89] სხვა არაფერია, თუ არა სოციალურად განსაზღვრული თვისებები. ამდენად, დევიაცია უფრო მეტად არის არა მოქმედების თვისება, არამედ სხვათა მიერ მიწერილი წესები და სანქციები „კრიმინალების“ მიმართ. [90]

ბეკერი გამოყოფს Labeling-ის ორ სფეროს, რომელსაც დიდ მნიშვნელობას ანიჭებს დანაშაულის დეფინირებისა და მისი კონსტრუირებისათვის. პირველ სფეროში მოაზრებულია ის პიროვნებები, რომლებიც ქცევის წესებს და ნორმებს ქმნიან და განსაზღვარევენ, რომელი ქმედება არის ნორმის დარღვევა, რომელი დანაშაული. მეორე სფერო არის ნორმის გამოყენება. პირები, რომლებიც დადგენილ ნორმებს იყენებენ,

---

[83] იქვე
[84] ბავშვთა უფლებათა კონვენციის, მუხ., 3
[85] კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), თბ., 2004 წ., გვ. 102
[86] Tannenbaum, F. 1938. 1951.
[87] Becker, H. 1963
[88] Lemert, E. 1951
[89] „დევიაცია იმ ქცევის აღნისვნაა, რომელიც ეწინააღმდეგება საზოგადოებაში აღიარებულ ნორმებს... [თუმცა] შესაძლოა, ინდივიდის ესა თუ ის ქმედება ფორმალურად განიხილებოდეს როგორც დევიანტური, მაგრამ მას მაინც არ „მიეკეროს“ დევიანტის იერლიყი, რამდენადაც, გარემოების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საზოგადოებრივი აზრი არ აღიარებს ნორმის დარღვევას“. კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), 2004, გვ. 54
[90] Rüther, W., 1975. S. 29.

როგორებიც არიან, თუნდაც სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლები, რომლებიც ყველა ქმედებას დანაშაულად არ მიიჩნევენ და ერთგვარ სელექციას ახდენენ. ნორმის გამოყენების სელექციურობით დამნაშავის ცნების ჩამოყალიბება ხორციელდება,[91] რომელიც გავლენას ახდენს პირის ეტიკეტირებაზე.

„დამნაშავედ" ეტიკეტირება, როგორც წესი სოციალური კონტროლის ორგანოების, თუ მათი წარმომადგენლების მიერ ხდება. ეს ორგანოებია: პოლიცია, საგამოძებო ორგანოები, სასამართლო და სხვა. ამ ორგანოების ნეგატიური ეტიკეტირება გალენას ახდენს ინდივიდის ცნობიერებაზე და წარმობს მასში ნეგატიურ იდენტობას, რაც ნეგატიური კარიერის და ნეგატიური სუბკულტურის განვითარებას უწყობს ხელს.[92] კაიზერის აზრით, დამნაშავე წარმოიქმნება მაშინ, როდესაც მოხდება მისთვის დამნაშავის ეტიკეტის მინჭება სოციალური კონტროლის ინსტიტუტების მეშვეობით და იგი აღიარებული იქნება საზოგადოების მიერ დამნაშავედ.[93] ზემოხსენებულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დამნაშავეა ის ვინც საზოგადოების მიერ იქნება აღიარებული დამნაშავედ. განრიდების პროცესში ჩაბმული არასრულწლოვნის დამნაშავედ ეტიკეტირება ხელს შეუშლის მის რესოციალიზაცია/რეაბილიტაციას და მის მიმართ დადგენილი ღონისძებების შესრულება, რომელიც განრიდების პროგრამითაა გათვალისწინებული, აზრს დაკარავს.

ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინება

არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესები განიმარტება, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და სხვა ინტერესები, რომელთა განსაზღვრა უნდა მოხდეს საერთაშრისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად.[94]

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით არასრულწლოვნის განსაკუთრებული ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობა, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებაადასტურებს

---

[91] Becker, H., 1963. S. 12.

[92] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2011 წ., გვ.47-48

[93] Quensel, S., 1970, S. 381

[94] საქ. კანონის „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი" პროექტზე განმარტებითი ბარათი, გვ.59

მისი ბრალეულობის ნაკლებ ხარისხს და მოითხოვს სრულწლოვნებისგან განსხვავებულ მიდგომას.[95]

გამომდინარე იქიდან, რომ არასრულწლოვნები სრულწლოვნებისგან განსხვავდებიან თავიანთი ფიზიკური და გონებრივი განვითარებუს დონით, ემოციური მდგომარეობითა და განათლების საჭიროებით, არასრულწლოვნების მიმართ უნდა განხორციელდეს ისეთი ღონისძებები, რომ განხორციელებული ქმედება მორგებული იყოს მათ ჭეშმარიტ ინტერესებზე.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის №216 ბრძანების მიხედვით, პროკურორის გადაწყვეტილება უნდა ეფუძვნებოდეს არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესს. შეფასებულ უნდა იქნას, თუ რა შესაძლო შედეგი ექნება არასრულწლოვნის ჩართვას პროგრამაში, როგორია განმეორებითი დანაშაულის ჩადენის რისკი და ა. შ.

პროკურორები გადაწყვეტილების მიღების დროს დიდ ყურადღბას აქცევენ საკანონმდებლო ნორმებით დადგენილ ქმედების მძიმე ხასიათს, ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას, ზარალის ოდენობას.[96]

ასეთ შემთხვევაში ყურადღების მიღმა შეიძლება დარჩეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის პიროვნული მახასიათებლები ან ჩადენილი ქმედების მოტივი, რითაც ჯეროვნად ვერ გაითვალისწინებს არასრულწლოვნის ჭეშმარიტ ინტერესებს.

---

[95] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი #10, პარაგრაფი 10
[96] Libuda-Köster, A., 1990. S. 243

თავი IV. არასრულწლოვანთა განრიდების საკანონმდებლო რეგულირება

4.1 წინაპირობები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში ჩამოთვლილია იმ წინაპირობათა ერთობლიობა, რომელიც აუცილებელია განრიდების პროგრამის განსახორციელებლად:

1. არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა;
2. არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის;
3. არასრულწლოვანი განრიდების პროგრამაში ჩართული არ ყოფილა;
4. არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს;
5. პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსმართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს;
6. არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების პროგრამის გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.[97]

ჩემი აზრით, ამ წინაპირობებიდან კრიტიკის ობიექტია რამდენიმე წინაპირობები.

პირველის შემთხვევაში, თუ ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაშია განრიდების პროგრამა დასაშვები და ორიენტირებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისკენ და პროგრამა ემსახურება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს, ვფიქრობ დანაშაულის სიმძიმე მეორეხარისხოვან ადგილს უნდა იკავებდეს, რადგან როდესაც ინდივიდუალურობის პრინციპზეა საუბარი, უნდა შეფასდეს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი. როგორც ნაშრომშია აღნიშნული, ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში უნდა მოხდეს არასრულწლოვანის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრა და მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი სადამსჯელო ღონისძიებების გატარება და მაქსიმალურად ხელი შეეწყოს

[97] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 40

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანის რეინტეგრაციას. ამით წინაპირობის უგულებელყოფით, შესაძლებელია განსაკუთრებით მძმე კატეგორიის დანაშაულის ჩამდენი არასრულწლოვანი უმეტესწილად ვერც კი მოხვდეს განრიდების პროგრამაში, თუმცა მათაც არ უნდა დავუკარგოთ ის შანსი, რომლითაც მათ საუკეთესო ინტერესზე ვიქნებით ორიენტირებულნი.

რაც შეეხება შემდეგს, აქ ორი წინაპირობის ჭეშმარიტების საკითხი შეიძლება დავსვათ ერთდროულად, რომელიც მოიაზრებს ნასამართლობის არ ქონას და განრიდების პროგრამაში მანამდე ჩაურთველობას, რომ განხორციელებულ იქნას განრიდების პროგრამა, წინააღმდეგობაში მოდის არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების გათვალისწინებასთან. ვფიქრობ, ნასამართლობის ქონა და წარსულში განრრიდების პროგრამაში ჩართვა აუცილებელ წინაპირობებს არ უნდა წარმოადგენდნენ, უბრალოდ ისინი შეიძლება გათვალისწინებულ იქნას. როგორც უკვე აღვნიშნე, განრიდების პროგრამა განხორციელებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების და ინდივიდუალური შეფასების გათვალისწინებით.

4.2 ღონისძიებები

საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია ის ღონისძიებები, რომლებიც შეიძლება იქნას გამოყენებული განრიდების პროგრამის განხორციელებისას. განრიდების ღონისძებები განისაზღვრაბე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე და გამოყენებულ შეიძლება იქნას განრიდების რამდენიმე პროგრამა.[98] განრიდების ღონისძიება გონივრული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი უნდა იყოს. არ შეიძლება არასრულწლოვანს დაეკისროს ისეთი ქმედების განხორციელება, რომელიც ლახავს არასრულწლოვნის ღირსებასა და პატივს, ასევე ზიანს აყენებს ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ხელს უშლის მის ნორმალური სასწავლო პროცესის განხორციელებას და ძრითადი სამუშაოს შესრულებას.[99] დაუშვებელია ჩადენილი ქმედებისთვის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციაზე მკაცრი განრიდების ღონისძების გამოყენება.[100]

განრიდების შესახებ ხელშეკრულებ შეიძლება გათვალისწინებულ იქნას შემდეგი ღონისძებები:

---

[98] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 42., ნაწ. 2
[99] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 42., ნაწ. 3
[100] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 42., ნაწ. 4

- არასრულწლოვნი წერილობითი გაფრთხილება (არასრულწლოვნის წერილობიტი გაფრთხილება ნიშნავს მისთვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება დანაშაულის განმეორებას);
- აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის, განრიდების პროგრამაში ჩართვა (აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვნის განრიდების პროგრამაში ჩართვას, მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულებას ან/და სხვა პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას);
- მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება (გამომდინარე იქიდან, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება არასრულწლოვანი, ეს ფაქტი მის სამოქალაქო პასუხისმგებლობას არ გამორიცხავს. შესაბამისად არასრულწლოვანმა/მშობლებმა უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი);
- უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა;
- დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;
- არასრულწლოვბისთის მოვალეობის დაკისრება;
- არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება (არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად გადაცემა ნიშნავს, განსაზღვრული დროით არასრულწლოვნის მინდობით აღმზრდელისთვის გადაცემას სახლიდან მოშორებით და მშობლებისაგან განცალკევებით, თუ არასრულწლოვნის სახლში და მშობლების გარემოცვაში დატოვება მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს შეიცავს. განრიდების ღონისძების განხორციელების პროცესში შესაძლებელია არასრულწლოვნის მშობლების ჩართვაც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესს).[101]

განრიდების პროგრამის 2020 წლის ანგარიშის მიხედვით განრიდებულ იქნა 298 არასრულწლოვანი, მათგან 274 მამრობითი სქესის წარმომადგენელია, ხოლო 24 მდედრობითი სქესის წარმომადგენელი.[102]

---

[101] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 39., ნაწ. 1
[102] http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202020.pdf

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, განრიდების გამოყენების დროს აკისრებს მოვალეობებს და უწესებს აკრძალვებს, კერძოდ:

არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოდ:

- განსაზღვრული ადგილის ან/და პირის/პირების მონახულება;
- ბინადრობის ადგილის შეცვლა;
- დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა;
- ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დატოვება (ნებართვა უნდა მიიღოს პრობაციის ეროვნულ სააგენტოში);
- სხვა ისეთი ქმედებები, რომელიც ხელს შეუშლია მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს:

- სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება;
- სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება;
- საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა;
- თავისუფალი დროით განსაზღვრული ფორმით გამოყენება;
- სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას;

4.3 განრიდების ხელშეკრულება

განრიდების პროგრამის გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლების თანხმობის შემდეგ, პროკურორი, პრობაციის ეროვნული სააგენტოს სოციალურ მუშაკთან ერთად ამზადებს ხელშეკრულებას.[103] განრიდების ხელშეკრულება არის სამოქალაქო ხელშეკრულება, რომლის მხარეებიც არიან არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი და სოციალური მუშაკი,

[103] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013 წ., თბ., გვ. 63

რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანის ქცევის შეზღუდვასა და სხვა უფლება-მოვალეობებს.[104]

როგორც წესი, განრიდების ხელშეკრულება ფორმდება პროკურორის მიერ წინასასამართლო სხდომამდე,[105] თუმცა შესაძლებელია ხელშეკრულების გაფორმება საქმის სასამართლოში წარმართვის შემდეგაც. განრიდების გამოსაყენებლად სასამართლო უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე წინასასამართლო სხდომაზე ან პირველი ინსტანციის არსებითი განხილვის სხდომაზე საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვანს განრიდებას შესთავაზებს.[106]

სტრუქტურულად გათვალისწინებულია განრიდების ხელშეკრულების ძირითადი მონაცემები, ხელშეკრულების მიზანი, მხარეები, სტანდარტული, დამატებითი და დასკვნითი პირობები.[107]

ხელშეკრულების ძირითად მონაცემებს წარმოადგენს არასრულწლოვნის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია, დანაშაულის სახე, კვალიფიკაცია და ასევე ადგილი, სადაც დანაშაული არის ჩადენილი.[108]

განრიდების ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებში გათვალისწინებულია არასრულწლოვნის მშობლებისა და დაზარალებულის ვალდებულებები.[109] არასრულწლოვნების მხრიდან ვალდებულებაში მოაზრებულია იმ ზიანის ანაზღაურება, რაც გამოწვეულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მხრიდან, ხოლო დაზარალებულის ვალდებულებაში მოიაზრება დაზარალებულის უფლების არ ქონაში, რომ ცალკე სამოქალაქო წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რადგან არასრულწლოვნის მშობლების ვალდებულება, აანაზღაურონ ზიანი, ისედაც კერძო სამართლის სფეროს განეკუთნება, რომლის შესახებაც ცალკე დოკუმენტი დგება.

სტანდარტულის პირობების შემდგომ, ხ**ელშეკრულებაში გათვალისწინებულია დამატებითი პირობები,** რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ სხვადასხვა იყოს. განრიდების ხელშეკრულების დამატებითი პირობები განსაზღვრავს უფრო კონკრეტულ

---

[104] საქ. იუსტიციის მინისტრის ბრძანება №216 2010 წლის 12 ნოემბერი განრიდებისა და მედიაციის შესახებ პროკურორებისთვის სახელმძღვანელო მითითებებისა და მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების ძირითადი პირობების დამტკიცების თაობაზე

[105] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 39., ნაწ. 1

[106] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 39., ნაწ. 2

[107] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, 2013 წ., თბ., გვ., 63-64

[108] იქვე

[109] იქვე

ვალდებულებებს, მისი მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებებს, სოციალური მუშაკოს ფუნქციას, საქმიანობის წესს და პროკურორის როლს განრიდებაში.[110]

ხელშეკრულების დასკვნით პირობებში ასახულ უნდა იქნას მისი მოქმედების ვადა, ამოქმედების წესი, ცვლილებების და დამატებების შეტანისა და მხარეთათვის ხელშეკრულებების გადაცების წესები. ხელშეკრულება ამოქმედდება ყველა მონაწილე მხარის მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან. მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ასევე შესაძლებელია ყველა ძირითადი მხარის წერილობიტი თანხმობით არის შესაძლებელი. ძირითად მხარეს წარმოადგენს: არასრულწლოვანი, მისი კანონიერი წარმომადგენელი, პროკურორი, სოციალური მუშაკი. ხელშეკრულება დგება იმდენ ასლად, რამდენი მხარეც მონაწილეობს მასში. იმ შემთხვევაში, როდესაც არასრულწლოვანი შეასრულებს განრიდების შესახებ ხელშეკრულების მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პროკუროპრი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის თაობაზე. განრიდების ხელშეკრულების მაქსიმალური ვადაა 1 წელი, თუმცა შესაძლებელია გაფორმდეს ნაკლები ვადითაც.[111]

როდესაც არასრულწლოვანი არაკეთილსინდისიერად მოიქცევა და იგი არ შეასრულებს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკი აცნობებს პროკურორს, არასრულწლოვნის განრიდების პირობების შეუსრულებლობაზე და სოციალური მუშაკის მოსაზრების მოსმენის შემდეგ აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას.[112]

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში არასრულწლოვნის მიერ განრიდების ღონისძიების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინება.[113]

განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების დროს, პროკურორს აქვს უფლებამოსილება დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი

---

[110] იქვე
[111] იქვე
[112] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 48/1
[113] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 48/3

დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.[114]

აღსანიშნავია ფაქტი, რომ განრიდების ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არასრულწლოვნის მიერ 18 წლის ასაკის მიღწევა არ წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.[115]

ხელშეკრულებაში არ უნდა იქნეს შეტანილი ისეთი პირობები, რომლებიც აღემატება არასრულწლოვნის უნარებს ან/და მოიცავს სხვა პირების პასუხისმგებლობის საკითხსაც გარდა არასრულწლოვნისა.

4.3.1 ხელშეკრულების მხარეები

როგორც უკვე ნაშრომშია აღნიშნული, განრიდების ხელშეკრულების მხარეები არიან:

- არასრულწლოვანი
- არასრულწლოვნის კანონიერი წარმოამადგენელი
- პროკურორი
- დამცველი
- სოციალური მუშაკი

4.3.1.1 არასრულწლოვანი

როდესაც არასრულწლოვანი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი არ ეთანხმება პროკურორის მოთხოვნებს და შეუძლებელი ხდება განრიდების ხელშეკრულების სხვა პირობებზე შეთანხმება, პროკურორი წყვეტს განრიდების პროგრამაში ჩართვის პროცესს და იღებს გადაწყვეტიულებას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მსვლელობა მისცეს სისხლის სამართლის საქმეს. აქედან ჩანს, რომ პროკურორის შეთავაზების შემდგომ განრიდების პროგრამის დაწყება/გაგრძელება დამოკიდებულია არასრულწლოვანი/კანონიერი წარმომადგენლის თავისუფალ ნებაზე.

იმ შემთხვევაში, თუ პროკურორი არასრულწლოვანს განრიდებაზე უარს ეუბნება, დგება გასაუბრების ოქმი, რომელშიც აღინიშნება მიზეზი, თუ რათომ ეთქვა არასრულწლოვანს განრიდებაზე უარი, რომლის ხელმომწერები უნდა იყვნენ პროკურორთან ერთად არასრულწლოვანი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი.[116] განრიდებაზე უარის თქმის

---

[114] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხლი 48/2

[115] საქ. იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ბრძანება N384, დანართი პირველი

[116] ს ა ქ . არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 39, ნაწ. 4

შემთხვევაში, არასრულწლოვანს შეუძლია მიმართოს ზემდგომ პროკურორს განრიდების მოთხოვნით, ამ უფლების განხორციელება არასრულწლოვნის გარდა შეუძლია მის კანომიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს.[117]

4.3.1.2 არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი

არასრულწლოვნის კანონიერი წარმოადგენელი არის არასრულწლოვნის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც მისი ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.[118] იმ შემთხვევაში, თუ არასრულწლოვანს არ ჰყავს კანონიერი წარმოამდგენელი, განრიდების პროგრამაში ერთვება პროკურორის ან გამომძებლის მიერ დანიშნული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ან სხვა სანდო პირი, რომელიც წარმომადგენლობით უფლებამოსილებას ახორციელებს არასრულწლოვნის სახელით, მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად.[119]

4.3.1.3 პროკურორი

პროკურორი არის სახელმწიფო ბრალმდებელი.[120] მას უნდა ჰქონდეს გავლილი სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში.[121] სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისა და შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას პროკურორი სარგებლობს დისკრეციული უფლებამოსილებით.[122] განრიდება დისკრეციულ უფლებამოსილებასთან ერთად გამოიყენება. იმ შემთხვევაში, როდესაც საქმეზე დაწყებულია გამოძიება და არსებობს დასაბუთებული ვარაუდი (სისხლისსამართლებრივი დევნისათვის საჭირო მტკიცებულებითი სტანდარტი), რომ არასრულწლოვანმა ჩაიდინა დანაშაული, პროკურორს გააჩნია უფლება, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძელზე არ

[117] ს ა ქ . არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 39, ნაწ. 5
[118] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 3., ნაწ. 11
[119] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 3., ნაწ. 12
[120] საქ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 33., ნაწ. 1
[121] საქ. არასრულწლოვანთა მართლსაჯულების კოდექსი, მუხ. 3., ნაწ. 6
[122] საქ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 16

დაიწყოს/შეწყვიტოს სისხლისსამართლებრივი დევნა და გამოიყენოს განრიდების პროგრამა.[123]

პროკურორი ხვდება არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ესაუბრება მათ ჩადენილი დანაშაულის შესახებ მანამ, სანამ განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას მიიღებს. იგი არასრულწლოვანს მისთვის გასაგებ ენაზე აცნობს განრიდების პროგრაამს, განრიდების სავარაუდო პირობებსა და შესაძლო შედეგებს.

როდესაც პროკურორი მიიჩნევს, რომ გამოყენებულ იქნას განრიოდების პროგრამა, იგი უკავშირდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - პრობაციის ეროვნულ სააგენტოს, რომელიც საქმეს გადასცემს სოციალურ მუშაკს.

4.3.1.4 დამცველი

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად ბრალდებულის უნდა ჰყავდეს დამცველი, თუ იგი არასრულწლოვანია.[124]

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N216 ბრძანებაში არ არის განსაზღვრული, რომ განრიდების პროგრამაში მონაწილე არასრულწლოვანს უცილობლად ჰყავდეს ადვოკატი. ბრძანების მიხედვით „თუ არასრულწლოვანს არ ყავს დამცველი (მის კანონიერ წარმომადგენელს) განემრტებადამცველის ყოლის უფლების შესახებ“.

არასრულწლოვანი ბრალდებულის სავალდებულო დაცვა განპირობებულია იმით, რომ მას სრულწლოვანი ბრალდებულისგან განსხვავებით, ცხოვრებისეული გამოუცდელობის გამო, არ შეუძლია საკუთარი თავის, საკუთარი პოზიციის დაცვა.[125]

დამცველის ყოლის არასაჭიროება განპირობებულია იმითომ, რომ განრიდების პროგრამის განხორციელებისას, ხარეს არ სჭირდება დაიცვას თავისი პოზიცია, მედიატორი იცავს ორივე მხარის ინტერესებს, რა თქმა უნდა მიუკერძოებლად.

4.3.1.4 სოციალური მუშაკი

სოციალური მუშაკი არის პრობაციის სააგენტოს სისტემის თანამშრომელი, რომელსაც მიღებული უნდა ჰქონდეს უმაღლესი

---

[123] საქ. იუსტიციის მინისტრის სიიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება, N384, დანართი 3

[124] საქ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხ. 45(ა)

[125] Streng, F., 2008. S. 72.

განათლება სოციალურ ან სხვა სფეროში და გავლილი უნდა ჰქონდეს მომზადება სოციალური მიმართულებით.[126]

სოციალური მუშაკი განრიდების პროცესში ერთვება მას შემდეგ, რაც პროკურორი დადგენილებით მიიღებს გადაწყვეტილებას არასრულწლოვნის განრიდების შესახებ და არსებობს არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობა განრიდების პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე. განრიდების თაობაზე, პროკურორისგან წერილობით მომართვის იღებს შესაბამისი პრობაციის ბიუროს უფორსი.საქმე წარმოებაში გადაეცემა იმ სოციალურ მუშაკს, რომელსაც მოცემული დროისთვის გააჩნია ყველაზე ნაკლები აქტიური შემთხვევა. თუ სოციალურ მუშაკს არ შეუძლია შეინარჩუნოს ობიექტურობა იმის გამო, რომ იგი იცნობს არასრულწლოვანს ან მის ოჯახის წევს, მაშინ მან ამის თაობაზე უნდა მიმართოს პრობაციის ბიუროს უფროსს და კონკრეტული არასრულწლოვნის საქმე გადაეცემა სხვა სოციალურ მუშაკს.[127]

სოციალური მუშაკი არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელი განუმარტავს მისი, როგორც სოციალური მუშაკის როლს და მოვალეობებს განრიდების სისტემაში. თუ თანხმობას გამოთქცამენ არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე, მაშინ სოციალური მუშაკი იწყებს არასრულწლოვანის პირველად ბიოფსიქოსოციალურ შეფასებას. ხოლო თუ არასრულწლოვანი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი უარს აცხადებენ სოციალურ მუშაკთან თანამშრომლობაზე, მაშინ სოციალური მუშაკი განუმარტავს მათ, რომ უარის შესახებ ეცნობებაშესაბამის პროკურორს, რომელიც მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.[128]

განრიდების პროგრამაში სოციალური მუშაკის მონაწილეობა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის ინდივიდუალური საჭიროებების, მისი უნარებისა და სოციალური გარემოს შესწავლას, რაც საფუძვლად უდევს განრიდების შესახებ ხელშეკრულების პირობების შემუშავებას. სოციალური მუშაკის საქმიანობა მიზნად ისახავს არასრულწლოვნის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების მონიტორინგს. სოციალური მუშაკი ეხმარება არასრულწლოვანს სოციალურ ინტეგრაციაში, რამაც

---

[126] პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის N29 ბრძანება

[127] ქუთათელაძე მ., სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბ., 2017 წ.

[128] საქ. იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N384, დანართი პირველი

მნიშვნელოვნად უნდა შეუწყოს ხელი განმეორებითი დანაშაულის პრევენციას.[129]

ბიოფსიქოსოციალური შეფასება არის - ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და სოციალური ფაქტორები, რომელიც მნიშვნელოვნად განაპირობებს ადამიანის ჩამოყალიბებას და მის შემდგომ განვითარებას და მუდმივ ურთიერთკავშირში იმყოფებიან.

- ბიოლოგიური ფაქტორები დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანის განვითარებაზე. ეს ფაქტორებია: ფიზიკური ჯანმრთელობა, გარეგნობა, სქესი, გენეტიკური დაავადებები და სხვ.
- ფსიქოლოგიური ფაქტორები მოიაზრებს ადამიანის ფსიქიკურ ჯანმრთელობას, ემოციურ და სოციალურ ინტელექტს, თვითაღქმას, ემპათიას, მორალურ განვითარებას, სტრესისა და ტრავმის დაძლევის სტრატეგიებს და სხვ.
- სოციალური ფაქტორები მოიცავს სოციალურ მდგომარეობას და სოციალურ გარემოს: ოჯახს და ოჯახურ ურთიერთობებს, თანატოლებს, ეკონომიკურ სტატუსს, რელიგიას და სხვ.[130]

სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რომ პირი, რომელიც განახორციელებს ისეთ სპეციალურ ღონისძიებებს, რომელიც მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისკენ არის გამიზნული, რა თქმა უნდა სპეციალიზებული უნდა იყოს ამ კუთხით. წინააღმდეგ შემთხვევაში, მაღალი ალბათობაა იმისა, რომ ეფექტურად ვერ ჩატარდეს პროცესი, რამაც არასრულწლოვნის ინტერესი შესაძლოა მნიშვნელოვნად დააზიანოს. ზემოხსენებული მოთხოვნა გათვალისწინებულია როგორც არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონით,[131] ასევე ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი #10 კომენტარით, რომელიც რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, რომ არასრულწლოვნებისთის შექმნან ცალკე სასამართლო, და თუ ეს შეუძლებელია, უნდა უზრუნველყონ არასრულწლოვანთა საქმეების განსახილველად სპეციალიზებული მოსამართლეები დანიშვნა.[132] არასრულწლოვნების მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი ცალსახად აღნიშნავს, რომ არასრულწლოვნებთან მომუშავე სპეციალისტებს გავლილი უნდა ჰქონდეთ შესაბამისი სპეციალიზაციის კურსი.[133] ასევე, უნდა არსებობდეს არასრულწლოვნების მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზებული პროკურატურა, ხოლო, თუ აღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია,

---

[129] იქვ.
[130] http://ganrideba.ge/ (ნანახია 19.06.2021)
[131] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხ. 5-7
[132] გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი # 10, პროგრამა 93
[133] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხ. 8(1)

უნდა არსებობდეს სპეციალიზებული პროკურორები მაინც.[134] გარდა ამისა, არასრულწლოვნების საქმეების გამოძებისთვის, პოლიციაში უნდა შეიქმნას სპეციალური განყოფილება, ხოლო თუ განყოფილების შექმნა შეუძლებელია, არასრულწლოვნების საქმეებზე უნდა იმუშაოს არასრულწლოვანტა მართლმსაჯულების საკითხებში სპეციალიზებულმა პოლიციის ოფიცერმა.[135]

4.3.1.4.1 ინდივიდუალური შეფასების ანგარიში

საერთაშორისო სტანდარტებისა და ქართული კანონმდებლობის თანახმად, არასრულწლოვანთა სამართალწარმოების დროს მასთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვნის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, მისი ჭეშმარიტი ინტერესები ისე, რომ შემდგომში ხელი შეეწყოს არასრულწლოვნის საზოგადოებაში ისე დაბრუნებას, რომ გათვითცნობიერებული ჰქონდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების ნეგატიურობა. ასეთი შედეგი მეტად მიიღწევა მაშინ, როდესაც აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძებებს ჩავატარებთ და არა სადამსჯელოსი. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში კი, ამ მიდგომის უზრუნველყოფისერთ-ერთ საუკეთესო მექანიზმს წარმოადგენს.

ინსტიტუტის ამოქმედების რეკომენდაცია ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტმა წევრ სახელმწიფოებს 2010 წლის 20 იანვარს მიღებული რეკომენდაციით მისცა.[136]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის გამოყენებასთან დაკავშირებული პროცედურები უფრო დეტალურად გაწერილი და დარეგულირებულია საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების 2016 წლის 15 მარტის ერთობლივი ბრძანებით, სადაც მითითებულია, თუ ვინ, რა გარემოებებზე დაყრდნობითა და რა მიზნის მისაღწევად ადგენს ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.[137]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიში არის წერილობითი ფორმით შედგენილი ოფიციალური დოკუმენტი არასრულწლოვნის შესახებ, რომლის მიზანია „არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას

---

[134] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხ. 6
[135] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონი, მუხ. 7
[136] ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, 2010 წ.
[137] საქ. იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების ერთობლივი ბრძანება, №132/№95/№23, 2016 წ.

გათვალისწინებულ იქნეს მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა."[138]

მასში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის რისკი და, შესაბამისად, არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდირებული ღონისძიებები.[139]

ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის სისწორე და არასრულწლოვნის მდგომარეობის სწორი ანალიზი, სამომავლოდ განაპირობებს მისი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას იუვენალური მართლმსაჯულების ფარგლებში, რადგანაც „ინდივიდუალური შეფასები ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაული/სამართალდარღვევის ჩადენის რისკი, შესაბამისად, მისი განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები."[140]

„ინდივიდუალური შეფასები ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის ხუთ სტადიაზე: განრიდების ღონისძიებების განსაზღვრისას, სასჯელის დანიშვნისას, საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას, არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას. ინდივიდუალური შეფასები ანგარიშს ამზადებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო, ხოლო საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას და პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას პენიტენციური დეპარტამენტი."[141]

---

[138] საქ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი, მუხ. 27

[139] მახარობლიძე თ, „ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში", სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები №1, თბ., 2017 წ., გვ. 79

[140] მახარობლიძე თ., ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მნიშვნელობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, სისხლის სამართლის აქტუალური საკითხები N1, თბ., 2017 წ., გვ 86

[141] იქვე., გვ. 79

4.3.2 ხელშეკრულების პირობები

პროკურორი, სოციალურ მუშაკთან ერთად, ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობებს. პირობების ჩამოყალიბებისას პროკურორი და სოციალური მუშაკი ითვალისწინებენ არასრულწლოვნის ინტერესებს.

პროკურორი, განრიდების შემთხვევაში, არასრულწლოვანთან განრიდების ხელშეკრულებას აფორმებს ანგარიშის მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. თუ გონივრული მიზეზების გამო ხელშეკრულება 10 სამუშაო დღეში ვერ ფორმდება, ეს ვადა შესაძლებელია გაგრძელდეს ამ მიზეზების აღმოფხვრამდე.

ხელშეკრულებაში მითითებული უნდა იყოს:

ა) ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

ბ) ხელშეკრულების შედგენის დრო და ადგილი;

გ) პროგრამის მონაწილე პირთა მონაცემები;

დ) ხელშეკრულებუს პირობების შესრულების ადგილი (მუნიციპალიტეტი);

ე) მითითება იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი აღიარებს დანაშაულს;

ვ) განრიდების ღონისძების სახე და სხვა პირობები;

ზ) ვალდებულების შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები და ხელშეკრულების შეწყვეტისა დაშეჩერების საფუძვლები.[142]

პროკურორის, სოციალური მუშაკის, არასრულწლოვნის, ადვოკატის ან მისი კანონიერი წარმოამდგენლის ინიციატივით და მათი თანხმობით, ხელშეკრულებაში შეიძლება გათვალისწინებულ იქნას სხვა პირორბები.[143]

რაღათქმაუნდა ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას, სოციალური მუშაკის ანგარიში უნდა იქნას გათვალისწინებული, ასევე არასრულწლოვნის ინტერესები, ჰობი, მისწრაფებები და ა.შ., როგორც არასრულწლოვნის გამოსწორებისა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნის მიღწევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე გარემოებები.[144]

სოციალური მუშაკი თვეში ერთხელ აწვდის წერილობით ინფორმაციას პროკურორს ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. თუ ხელშეკრულების მოქმედების დროს, რომლის მაქსიმალური ვადა შეადგენს 12 თვეს, არასრულწლოვანი კეთილსინდისიერად ასრულებს

---

[142] ქუთათელაძე მ., სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბილისი, 2017 წ., გვ., 144

[143] ქუთათელაძე მ., სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბილისი, 2017 წ. გვ., 145

[144] საქ. იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 03 ნოემბრის ბრძანება N 120, თბ., დანართი 3

ხელშეკრულების პრიობებს, პროკურორი დაუყოლვნებლივ წყვეტს გამოძიებას. ხოლო ხელშეკრულების პირობების დარწღვევის შემთხვევაში, პროკურორი სოციალურ მუშაკთან ერთად ხვდება არასრულწლოვანსა და მის კანონიერ წარმომადგენელს.[145]

ხელშეკრულებიტ გათვალისწინებული ვალდებულებების 6 ტიპი არსებობს:

- ფსიქო-სოციალური რეაბილიტაცია, რომელშიც შემდეგი ვალდებულებებია მოაზრებული: ფსიქოლოგიური კონსუნტაციის გავლა, ტრენინგზე დასწრება (მოხალისეობრივი მუშაობა, ლიდერობა, გუნდური მუშაობა); ტრენინგი (პრობლემათა გადაჭრის, კომუნიკაციისა და კონფლიქტის მართვის უნარ-ჩვევების გამომუშავებაში); პროგრამაში მონაწილეობა (ჩემი უფორსი მეგობარი).
- სოციალური ხასიათის ვალდებულებები - მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ჩაუტაროს ცეკვის გალკვეთილები; მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს წაუკითხოს სხვადასხვა მოთხრობა; სათნოების სახლში (მოხუცთა თავშესაფარში) დაეხმაროს ადგილობრივ მომსახურე პერსონალს; დარგოს ხეები.
- განათლება - მომხდარი ფაქტის შესახებ დაწეროს მოთხრობა ან ლექსი; ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში არ გააცდინოს სკოლა და გაუმჯობესოს სწავლის ხარისხი; წაიკითხოს მხატრული ლიტერატურა; იზრუნოს ლიტერატურული საიტის განახლებაზე.
- პროფესიული განვითარების სერვისები - იაროს უცხო ენისა და ინფორმატიკის კურსებზე; იაროს ჭრა-კერვის კურსებზე; შეისწავლოს ხეზე კვეთის ხელობა.
- არასრულწლოვანის სარისკო ქცევის კონტროლი - თავი აარიდოს აზარტულ სათამაშო კლუბებში შესვლას; არ იმყოფებოდეს გარეთ, ღამის საათებში ნებართვის გარეშე, გარდა გადაუდებელი აუცილებლობისა; არ მიიღოს ალკოჰოლური სასმელები.
- ვალდებულებები ზიანის ანაზღაურებაზე - გააფორმოს დაზარალებულ კომპანიასთან შრომითი ხელშეკრულება და მიღებული შემოსავლით აანაზღაუროს დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი; მონაწილეობა მიიღოს ერთ-ერთი სამინისტოს მანქანების რეზერვაციის პროგრამულ

[145] ქუთათელაძე მ., სადისერტაციო ნაშრომი, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, თბილისი, 2017 წ. გვ.,145

უზრუნველყოფაში; დაზარალებულის მითითებით ერთ-ერთ სახელმწიფო ორგანოს გაუწიოს საინფორმაციო-ტექნოლოგიური დახმარება.[146]

ხელშეკრულების პირობებზე საუბრისას უყურადღებოდ არ უნდა დაგვრჩეს ხელშეკრულების პირობათა რაოდენიბა, რამდენად მისაღებია ეს პირობები აღმზრდელობითო ეფექტის მისაღებად და რამდენად შესაძლებელია ამ პირობათა შესრულება იმ ვადაში, რომელიც შეიძლება დაენიშნოთ.

ხელშეკრულების პირობათა რაოდენობის კუთხით, საინტერესო მაგალითია მოყვანილი მორის შალიკაშვილის სახელმძღვანელოში, სადაც აღწერილია სპორტსმენების მიერ ჯგუფურად განხორციელდა ქურდობა მაღაზიაში.[147] მათგან ერთ-ერთ მოზარდს გაუფორმდა სამთვიანი ხელშეკრულება, რომელიც აპრილიდან ივნისამდე უნდა გაგრძელებულიყო და დაევალა შესასრულებლად 11 პირობა. თუ მხედველობის არეში გვექნება ის ფაქტიც, რომ ხელშეკრულების მომხადების დროს, არასრულწლოოვანი გადაყვანილ იქნა საქართველოს ერთ-ერთ წარმატებულ გუნდში სავარჯიშოდ და ყურადღებას მივაქცევთ განრიდების ხელშეკრულების შესრულების დროს, რომელის განხორციელება (აპრილი-ივნისი) ემთხვეოდა სკოლის მიმდინარეობის დროს, ფაქტობრივად შეუძლებელს ხდის ეს ფაქტი იმ მიზნების მიღწევას, რომელიც განრიდების პროგრამითაა დასახული და ამ მიდგომით ვერ გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესი.

განრიდების პირობებს აღმზრდელობითი ეფექტი უნდა გააჩნდეს და პირობები არ უნდა იყოს ფორმალურად შესასრულებელი ხასითის. პრაქტიკაში არსებობს მოზარდებისთის წიგნის წაკითხვის ვალდებულების დაკისრება ან, თუნდაც ბეჭდური ნაწარმოების ციფრული ვერსიის შექმნა. წიგნის წაკითხვა, მართლაც რომ დიდ გავლენას ახდენს არასრულწლოოვანზე. თუმცა რამდენადაც სასარგებლოა წიგნი არასრულწლოვნის აღზრდისთვსი, შესაძლებელია ამდაგვარად საზიანო აღმოჩნდეს. შესაბამისად მკაცრად უნდა იქნას შერჩეული და გაკონტროლებული იმ წიგნთა სია, რომელიც უნდა წაიკითხოს არასრულწლოვანმა. რაც შეეხება ბეჭდური ნაწარმოების ციფრული ვერსიის

---

[146] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013 წ., გვ., 105-106

[147] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013 წ., გვ., 106

შექმნას, არც ამ მხრივ გვექნება კარგი შედეგი, რადგან წიგნის გადაბეჭდვით, ვერ იქნება ის შედეგი მიღწეული, რომელიცაა დასახული.

ვფიქრობ, რომ ყოველი ინდივიდუალური შემთხვევიდან გამომდინარე, კონპეტენტურმა პიროვნებამ წინასწარ უნდა შეურჩიოს არასრულწლოვანს თუნდაც წასაკითხი წიგნი, მისი ინდივიდუალური შეფასებიდან გამომდინარე და რაც შეეხება ბეჭდური ნაწარმოების ციფრული ვერსიის შექმნა, საერთოდ ამოღებულ უნდა იქნას ხელშეკრულების პირორბებიდან ან უნდა მოხდეს მისი უფრო მკაცრად გაკონტროლება, თუნდაც არასრულწლოვანს უნდა მოეთხოვოს გადაბეჭდილი ნაწარმოების მორალის წარმოჩენა.

ზოგიერთი ხელშეკრულების პირობით, არასრულწლოვნისთვის დაკისრებული ვალდებულება შეიძლება შეუძლებელი გახდეს შესასრულებლად ხელშეკრულების მოქმედების ვადებში ან პირიქით, იმდენად დიდი იყოს, რომ არასრულწლოვანს გაუჩნდეს უსამართლობის გრძნობა, ეს კი მეტნაკლებად დარეგულირებული უნდა იყოს კანონმდებლობით.

მაგ. არასრულწლოვან გოგონას განრიდების ხელშეკრულებით, რომელიც 2 თვით იქნა დადებული, დაევალა კვირაში ერთხელ, ერთ-ერთი ბავშთა სახლის აღსაზრდელებს ჩაუტაროს ცეკვის გაკვეთილები.[148]

თუ დავუფიქრდებით, მოცემული ვალდებულება უფრო ფორმალურ ხასიათს ატარებს, ვიდრე შედეგზე ორიენტირებულს, რადგან 2 თვის განმავლობაში ცეკვის გაკვეთილების რაოდენობა შეადგენს 8-ს. ამდენჯერ ცეკვის გაკვეთილის ჩატარებით, ჯერ ბავშვთა სახლის აღსაზრდელებს ვტოვებთ ისე, რომ ბოლომდე ვერ იქნება საქმე მიყვანილი, ხოლო თვითონ არასრულწლოვნისთვისაც ვერ იქნება შედეგზე ორიენტრიებული, იმდენად ცოტა ხნით, თუ სიხშირით უნდა განახორციელოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულება.

რაც შეეხება ხელშეკრულების მაქსიმაურ ვადას, რომელიც შეადგენს 12 თვეს, ეს დრო შეიძლება არარელევანტურია იყოს განრიდების პტოგრამის მიზნებისთვის, რადგან ხელშეკრულების ხანგრძლივობა ინდივიდუალურად უნდა იქნას დადგენილი, მისი ბიო-ფსიქო-სოციალური შეფასებიდან გამომდინარე, რომელიც ფიზიკურ ჯანმრთელობას, გონების მდგომარეობასა და გარემომცველ სამყაროს აკავშირებს. რა თქმა უნდა მისასალმებელია მართლმსაჯულების ლიბერალიზაცია, თუმცა ამან არ უნდა გამოიწვიოს დანაშაულის წაქეზება, არამედ პირიქით, დანაშაულის

[148] შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბ., 2013 წ., გვ., 110

პრევენციაზე უნდა იყოს ორიენტირებული. თუნდაც მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის, მაქსიმუმ 12 თვიანი ხელშეკრულების დადება არასრულწლოვანთან, სადაც შესაძლებელია არასრულწლოვანს მოუწიოს ვალდებულების შესრულება კვირაში ერთხელ, მიუღებელია. შესაბამისად უნდა გაიზარდოს ხელშეკრულების მაქსიმალური ვადა და ყურადღება მიექცეს ვალდებულების განხორციელების სიხშირეს ისე, რომ განსახორციელებელი ვალდებულება/ვალდებულებები მიმართული იყოს არასრულწლოვნის რეაბილიტაცია/რესოციალიზაციისკენ და დანაშაულის პრევენციისკენ.

ხელშეკრულების ხანგრძლივობა 2020 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით არასრულწლოვნებში ძირითადად გრძელდებოდა 1-დან 8 თვემდე.[149]

არასრულწლოვნის განრიდებაზე უარი უნდა დასაბუთდეს. უპირველეს ყოვლისა გადაწყვეტილებაში უნდა მიეთითოს თუ რატომ ვერ იქნა მიღწეული რესოციალიზაციის და ახალი დანაშაულის ტავიდან აცილების მიზანი განრიდების ღონისძიების გამოყენებით.[150]

---

[149] http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202020.pdf

[150] არასაპატიმრო ზომების შესახებ გაეროს მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), გაეროს რეზოლუცია #45/110 (1990), წესი 5, სამართალდამცავ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ უფლება შეწყვიტონ სამართალწარმოება ბავშის წინააღმდეგ, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ საზოგადოების დაცვის, დანაშაულის თავიდან აცილების ან კანონისადმი და დაზარალებულის უფლებების პატივისცემის უზრუნველსაყოფად არ არის საჭირო პროცესის გაგრძელება).

თავი V. არასრულწლოვანთა განრიდების ეფექტიანობა

5.1 არასრულწლოვანთა განრიდების სტატისტიკა

2010 წელს როდესაც ამოქმედდა პროგრამა, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან განრიდებული იქნა მხოლოდ 2 არასრულწლოვანი,
2011 წელს - 81 არასრულწლოვანი,
2012 წელს - 124 არასრულწლოვანი,
2013 წელს - 332 არასრულწლოვანი,
2014 წელს - 204 არასრულწლოვანი,
2015 წელს - 297 არასრულწლოვანი,
2016 წელს - 784 განრიდებულიდან, 462 იყო არასრულწლოვანი,
2017 წელს - 912 განრიდებულიდან, 476 იყო არასრულწლოვანი,
2018 წელს - 898 განრიდებულიდან, 497 იყო არასრულწლოვანი,
2019 წელს - 798 განრიდებულიდან, 437იყო არასრულწლოვანი,
2020 წელს - 534 განრიდებულიდან, 298 იყო არასრულწლოვანი.[151]

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ, თუ 2010-2015 წლებში არასრულწლოვანთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელი აჭარბებდა განრიდების მაჩვენებელს, 2016 წელს და 2017 წლის პირველ 6 თვეში არასრულწლოვანთა განრიდების მაჩვენებელმა მკვეთრად გადააჭარბა სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მაჩვენებელს. კერძოდ, 2016 წელს განრიდებულ არასრულწლოვანთა მაჩვენებელი იყო 69%, ხოლო 2017 წლის პირველ 6 თვეში 67%.

2020 წლის იანვრის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (47) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 13 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 0.7%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 27.7%-ს შეადგენს.

2020 წლის თებერვლის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (50) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 17 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 0.9%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 34.0%-ს შეადგენს.

2020 წლის მარტის ბოლოს, პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (52) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 19 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.0%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 36.5%-ს შეადგენს. 2020 წლის აპრილის ბოლოს,

[151] http://ganrideba.ge/?action=page&pid=52&lang=geo (ნანახია: 27.06.2021)

პენიტენციურ სისტემაში განთავსებული არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების რიცხვი (48) ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 0.5%-ს შეადგენდა. არასრულწლოვანთა შორის 18 ბრალდებულია, ყველა მამრობითი სქესის. მათი რიცხვი ბრალდებულთა საერთო რაოდენობის 1.0%-ს, ხოლო არასრულწლოვანი ბრალდებულებისა და მსჯავრდებულების საერთო რაოდენობის 37.5%-ს შეადგენს.[152]

სტატისტიკა ცხადყოფს რომ მიუხედავად მცირედი მერყეობისა, უკანასკნელ წლებში განრიდების ინსტიტუტი მყარად დამკვიდრდა ქართული სისხლის სამართლის სისტემაში.

5.2 არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენცია

თანამედროვე საზოგადოების წინაშე მდგარი, ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური და სოციალურად მნიშვნელოვანი ამოცანაა, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულებისა და სამართალდარღვევების ზრდის შემცირებისა და მათი პრევენციის ეფექტურობის გაზრდა. თვით პრევენცია არის სახელმწიფოსა და საზოგადოების ქმედებები, რომელიც მიმართულია დანაშაულის თავიდან აცილეისკენ.[153]

ჩვენს დროში სულ უფრო მეტი მოზარდი ხდება ,,რისკ ჯგუფის" წევრი, რომლებიც გარკვეული ძალის ზემოქმედების შედეგად უფრო მეტად იტვირთებიან გარე ნეგატიური ზემოქმედებით, საზოგადოებისა და მისი კრიმინალური ელემენტებისგან, ასე რომ უნდა შევეცადოთ „რისკ ჯგუფის" წევრი არასრულწლოვნები და საერთოდ ყოველი არასრულწლოვანი ნეგატიური ზემოქმედებისგან მოშორებით ვამყოფოთ და შევუქმნათ მათ ჰარმონიული პირობები. ჰარმონიულ პირობებს კი სისხლისსამართლებრივი დევნით ვერ შევუქმნით. უფრო მეტიც, უნდა შევეცადოთ, რომ განვახორციელოთ არსებული სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმის თუ მექანიზმების სრულყოფა.

შეიძლება ითქვას, რომ არასრულწლოვნები სამართალდარღვევებს ჩადიან მათი მორალური და ზნეობრივი აღზრდის ნაკლებობიდან გამომდინარე. არასრულწლოვნების ასაკობრივი თვისებები, მოითხოვს ამ ჯგუფთან ფსიქოლოგიურად და მეთოდოლოგიურად კომპეტენტურ მიდგომას და კარგი იქნება თუ პრევენციულ სამუშაოებში ჩაერთვება ოჯახი და არასრულწლოვნის უახლოესი წრე, რათა არასრულწლოვნებმა უფრო კომფორტულად იგრძნონ თავი. არასრულწლოვნებს მეტწილად არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გაიაზრონ, რომ აღარაფერი ვთქვათ მათ გადაჭრაზე.

ვფიქრობ, რომ არასრულწლოვნის მშობლები და საერთოდაც მისი უახოესი წრე დიდ როლს ასრულებს არასრულწლოვნების დანაშაულებრივი ქმედების პრევენციაში, რადგან კრიმინალური ქცევების დროულად შემჩნევამ, ბავშვებში და მოზარდებში, ასევე სწორად

[152] https://www.geostat.ge/ka (ნანახია: 27.06.2021)
[153] შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ. 2010, გვ. 283.

ორგანიზებულმა პედაგოგიურმა დახმარებამ, შეიძლება მიგვიყვანოს დანაშაულებისა და სამართალდარღვევების აღმოფხვრამდე.

დანაშაულებრივი ქმედებების პრევენციის ხელის შემშლელი ფაქტორი შესაძლებელია იყოს დანაშაულებრივი ქმედების ლატენტურობა, რომელიც შესაძლებელია გამოწვეულ იყოს დანაშაულის ნაკლებად მძიმე კატეგორიით, რომელსაც არასრულწლოვნები ძრითადად ახორციელებენ, ან თუნდაც ხელის დაფარებით, რადგან ისინი არასრულწლოვნები არიან, ტუმცა ამან შეიძლება უფრო დიდი პრობლემის წინაშე დაგვაყენოს. თუნდაც დანაშაულებრივ ქმედების რეაგირების გარეშე დატოვებამ, შეიძლება არასრულწლოვნისთის მასტიმულირებელი გახდეს და მომავალში უფრო მძმე დანაშაული ჩაიდინოს, რადგანაც თავის დროზე მის მქედებას რეაგირება არ მოჰყოლია და იმედოვნბეს, რომ არც მოყვება.

განრიდების პროგრამა არასრულწლოვნებისთვის იმითა არის საუკეთესო გამოსავალი, რომ დანაშაულებრივი ქმედება არც რეაგირების გარეშე არ რჩება და ხორციელდება მისი ისეთი აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძებების გატარება, რომ მიხვდეს მისი ქმედების უარყოფით ხასიათს და არც იმდენად მკაცრი ზომები ტარდება, რომ იგი მოხვდეს ისეთ გარემოში, რომ მასზე იქონიოს ნეგატიური გავლენა და ჩამოყალიბდეს კრიმინალად.

შესაბამისად, არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამა ხელს უწყობს დანაშაულის პრევენციას, რომელიც მიმართულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნების რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისკენ.

დასკვნა

ნათელია, რომ საქართველოს მართლმსაჯულება არასრულწლოვნებთან მიმართებით ძალას არ იშურებს იმისთვის, რომ თავისი კანონმდებლობა უფრო ლიბერალური გახადოს, ვიდრე მანამდე იყო. ამისათვის კი იგი ითვალისწინების იმ საერთაშორისო ნორმებსა და რჩევებს, რომელიც სწორედ რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის გამოსწორებსიკენ იქნება ორიენტირებული და არა დასჯისკენ.

სწორედ ამის ნათელი მაგალითია, თუნდაც არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამა, რომელიც კანონთან კონცლიქტში მყოფ არასრულწლოვნებს გარკვეული წინაპირობების არსებობის შემტხვევაში აძლევს იმ შანსს, რომელიც შეიძლება, რომ მათი მომავლის გადაწყვეტისთვის ძალზედ მნიშვნელოვანი და არსებითი აღმოჩნდეს.

მიუხედავად იმისა, რომ არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამა სწრაფად განვითარდა ქართულ კანონმდებლობაში, ეტაპობრივად მოიცვა მთელი საქართველოს ტერიტორია და ასევე განხორციელდა მისი მნიშვნელოვანი რეფორმები, არსებობს რამდენიმე საკითხი, რომელიც საჭიროებს საკანონმდებლო წესით რეგულირებასა და დახვეწას.

დღესდღისობით, უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების მაქსიმალური ვადის გახანგრძლივება, ყურადღება უნდა მიექცეს ხელშეკრულების პირობათა რაოდენობას და პირობის შესრულების სიხშირეს იმ ვადაში რა ვადითაც არის ხელშეკრულება დადებული. ხელშეკრულებით დადგენილ ვალდებულებებს უნდა ჰქონდეთ აღმზრდელობითი და არა ფორმალური ხასიათი, რადგან ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია/რეაბილიტაციისთვის, რამეთუ სწორედ ეს უკანასკნელი ემსახურება არასრულწლოვნების ჭეშმარიტ ინტერესს.

განრიდების პროგრამის წინეპირობას, რომელიც გულისხმობს განრიდების განხორციელებას იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა ნაკლებად მძიმე ან მძიმე კატეგორიის დანაშაული, უნდა დაემატოს განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის დანაშაულიც, რადგან ინდივიდუალურად უნდა მოხდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის შეფასება და არა დანაშაულის კატეგორიის მიხედვით. წინაპირობათაგან კრიტიკის ობიექტია ასევე ნასამართლობის არსებობისა და წარსულში განრიდების პროგრამაში ჩართვის შემთხვევაში, განრიდების ხელშეკრულების დადების შეუძლობა. როგორც უკვე აღვნიშნე, განრიდების პროგრამა განხორციელებულ უნდა იქნას არასრულწლოვნის ჭეშმარიტი ინტერესების

და ინდივიდუალური შეფასების გათვალისწინებით. გამომდინარე აქედან ეს წინაპირობები ხელშეკრულებისთვის დადებისთვის იმპერატიულ ხასიათს არ უნდა ატარებდნენ, უბრალოდ ისინი შეიძლება გათვალისწინებულ იქნან.

განრიდების პროგრამის სწორ და ჯეროვან განხორციელებაზეა დამოკიდებული იმ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაცია, რომელიც არასრულწლოვანთა მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა

სამეცნიერო ლიტერატურა

1. ა. დემეტრაშვილი, ი. კობახიძე, კონსტიტუციური სამართალი, თბ., 2011 წ.
2. როსტიაშვილი ბ., არასრულწლოვანთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ძირითადი ასპექტები, სადისერტაციო ნაშრომი, თბ, 2020 წ.
3. შალიკაშვილი მ., კრიმინოლოგია, თბ., 2011 წ.,
4. შალიკაშვილი მ, მიქანაძე გ., არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების თავისებურებანი: არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კრიმინოლოგიური, სისხლისსამართლებრივი, პენიტენციური და საერთაშორისო სამართლებრივი საფუძვლები, გამომცემლობა: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი, თბ., 2011 წ.
5. შალიკაშვილი, მ., მიქანაძე, გ., ,,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება“ მეორე გამოცემა, გამომცემლობა: ,,მერიდიანი“, თბ., 2016 წ.
6.
7. გუცენკო ფ. კ., გოლოვკო ლ. ვ., ფილიმინოვი ბ. ა., დასავლეთ სახელმწიფოთა სისხლის სამართლის პროცესი, თბ., 2007 წ.
8. განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონი „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის“ პროექტზე,
9. დანაშაულის პრევენციის ცენტრი, არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, 2014 წლის ანგარიში
10. დანაშაულის პრევენციის ცენტრი, არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, 2015 წლის ანგარიში
11. დანაშაულის პრევენციის ცენტრი, არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამა, 2016 წლის ანგარიში
12. კ. კუბლაშვილი, ძირითადი უფლებები 2003 წ.

13. კოდუა, ე. და სხვა (სარედ. ჯგუფი), თბ., 2004 წ.,
14. მ. ქუთათელაძე, განრიდება და მედიაცია სისხლის სამართალში, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2017 წ.
15. საქართველოს სისხლის სამართლის პროცესი, კერძო ნაწილი, მესამე გამოცემა, ავტ. კოლექტივი, რედაქტორები: გახოკიძე ჯ., მამნიაშვილი მ., გაბისონია ი., გამომც. იურისტების სამყარო, თბ., 2015 წ.
16. ქ. ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, თბ., 2013 წ.
17. უსუფაშვილი გ., არასრულწლოვნის განრიდება და მედიაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული ფორმა, სადისერტაციო ნაშრომი, თბ., 2019 წ.
18. შალიკაშვილი მ., არასრულწლოვანთა განრიდების და მედიაციის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და ფსიქოლოგიური ასპექტები, თბილისი, 2013 წ.
19. ცოცანიძე გ., ლოლაძე ნ., დათუკაშვილი ქ., ქართული ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა
20. ჯავახიშვილი, ლ., არასრულწლოვნის განრიდებისა და მედიაციის პროგრამის მიმოხილვა
21. Becker, H. 1963
22. Lemert, E. 1951
23. Libuda-Köster, A., 1990. S. 243
24. Streng, F., 2008. S. 72
25. Hurrelmann, K., 2010. S. 26
26. Quensel, S., 1970, S. 381
27. Rüther, W., 1975. S. 29.
28. Tannenbaum, F. 1938. 1951.

სამართლებრივი აქტები

1. საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი
2. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,
3. 1989 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებების კონვენცია
4. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 12 ნოემბრის N216 ბრძანება
5. საქართველოს კონსტიტუცია
6. არასაპატიმრო ზომების შესახებ გაეროს მინიმალური წესები (ტოკიოს წესები), გაეროს რეზოლუცია #45/110 (1990), წესი 5
7. პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის 2011 წლის 22 თებერვლის N29 ბრძანება
8. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 01 თებრვლის ბრძანება N 120, ქ., თბილისი.
9. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრის დირექტორის ბრძანება N384
10. ლანზაროტეს კონვენცია,
11. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი
12. გაეროს ბავშის უფლებათა კონვენცია,
13. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები
14. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ,
15. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი
16. ევროპული წესი
17. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები,
18. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპები
19. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR), 1966 წ.

20. აფრიკული კონვენცია ადამიანის და ხალხის უფლებების შესახებ, 1982 წ.
21. ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (ACHR), 1969 წ.,
22. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ მოდელური კანონის კომენტარები,
23. პეკინის წესები
24. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის №2/2/389 გადაწყვეტილება
25. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის №1/3/407 გადაწყვეტილება
26. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 6 აპრილის №2/1/415 გადაწყვეტილება
27. საქ. იუსტიციის, შინაგან საქმეთა, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების ერთობლივი ბრძანება, №132/№95/№23, 2016 წ.
28. ევროსაბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია, 2010 წ.

ინტერნეტ წყარო

http://prevention.gov.ge/page/28/geo [01.06.2021]
http://dictionary.css.ge/content/stigma
http://ganrideba.ge/res/files/52/Diversion%20Report%202020.pdf
https://www.wvi.org/
http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=2864
http://dictionary.css.ge/content/frustration-aggression-hypothesis
https://www.geostat.ge/ka